Katz, Jerrold J. and Jerry A. Fodor. 1963. The structure of a semantic theory. *Language* 39:170–210. (Reprinter in *The structure of language: readings in the philosophy of language*, ed. Jerry A. Fodor and Jerrold J. Katz, 479–518. Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1964).

Labov, William. 1973. The boundaries of words and their meanings. *New ways of analyzing variation in English*, ed. Joshua Fishman, 340–73. Washington D.C.: Georgetown University Press.

Lakoff, George. 1973. Hedges: a study in meaning criteria and the logic of fuzzy concepts. *Journal of Philosophical Logic* 2:458–508. 1987. *Women, fire and dangerous things: what categories reveal about the mind*. Chicago: University of Chicago Press.

Lakoff, George and Eve Sweetser. 1994. Foreword to Gilles Fauconnier, *Mental Spaces*, IX–XLVI. Cambridge: Cambridge University Press.

Langacker, Ronald W. 1991b. *Concept, image, and symbol: the cognitive basis of grammar*. Berlin Mouton de Gruyter.

Lewis, David. 1969. *Convention*. Cambridge, Mass.: MIT Press.

Lyons, John. 1963. *Structural semantics*. Cambridge: Cambridge University Press. 1968. *Introduction to theoretical linguistics*. Cambridge: Cambridge University Press.

Murphy, Gregory L. and Mary E. Lassaline. 1997. Hierarchical structure in concepts and the basic level of categorization. *Knowledge, concepts and categories*, ed. Koen Lamberts and David Shanks, 93–132. Hove: Psychology Press.

## LANGUAGE

Rosch, Eleanor H. 1973. Natural categories. *Cognitive Psychology* 4:328–50. 1978. Principles of categorization. *Cognition and categorization*, ed. Eleanor Rosch and Barbara Lloyd, 27–48. Hillsdale, N.J.: Lawrence Erlbaum Associates.

Rosch, Eleanor H. and Carolyn B. Mervis. 1975. Family resemblances: studies in the internal structure of categories. *Cognitive Psychology* 7:573–605.

Rosch, Eleanor H. and Carolyn B. Mervis, Wayne Gray, David Johnson and Penny Boyes-Braem. 1976. Basic objects in natural categories. *Cognitive Psychology* 8:382–439.

Smith, Edward E., Edvard J. Shoben and Lance J. Rips. 1974. Structure and process in semantic memory: a featural model for semantic decisions. *Psychological Review* 81:214–41.

Smith, Linda B. and Larissa K. Samuelson. 1997. Perceiving and remembering: category stability, variability and development. *Knowledge, concepts and categories*, ed. Koen Lamberts and David Shanks, 161–95. Hove: Psychology Press.

Sperber, Dan and Deirdre Wilson. 1986. *Relevance: communication and cognition*. Oxford: Basil Blackwell.

Taylor, John R. 1989 [1997]. *Linguistic categorization: prototypes in linguistic theory* (2<sup>nd</sup> ed.). Oxford: Oxford University Press.

Ungerer, Friederich and Hans-Jürgen Schmid. 1996. *An introduction to cognitive linguistics*. London: Longman.

Whittlesea, Bruce W. A. 1997. The representation of general and particular knowledge. *Knowledge, concepts and categories*, ed. Koen Lamberts and David Shanks, 335–70. Hove: Psychology Press.

Wittgenstein, Ludwig. 1953. *Philosophical investigations*. New York: Macmillan.

თარგმნეს ნ. ღუნდუამ და მ. ივანიშვილმა

# ON LINGUISTIC PALAEOLOGY OF CULTURE

T.V. Gamkrelidze

The picture of areal affinities drawn from the study of grammatical, phonological, and lexical isoglosses among dialects of a proto-language provides a way of determining how dialectal differentiation of the proto-language proceeded and hence of establishing what contacts took place among speakers of the dialects. In other words, purely linguistic facts make it possible to establish extra-linguistic factors such as historical interactions among speakers of the linguistic systems.

Of particular value and significance for linguistically based reconstruction of non-linguistic historical and social relations is formal semantic analysis of the dialect lexicons, since these can reflect all essential aspects of the historical existence of their speakers. The historical existence of the speakers includes the ecological environment (fauna, flora, geographical surroundings, climate) and human habitation and migration in the environment, as well as culture in the broadest sense (including both material and spiritual culture). Semantic reconstruction of relevant lexemes from the daughter languages gives us a general representation (although sometimes only a fragmentary one) of the speakers' historical existence. In such reconstructions, linguistic facts are a source of information on prehistoric culture and its historical evolution.

Reconstructing elements of the extra-linguistic world of daughter-language speakers in turn gives a clearer picture of the linguistic affinities among the daughter languages and their development in time, i.e. of purely linguistic factors. This is particularly true of the semantic structure of language, which simply cannot be studied in isolation from the external world that is reflected in the content plane of language.

In formal reconstruction the proto-meaning often cannot be established without going beyond strictly linguistic facts and bringing in typological data on the

## LANGUAGE

history of the cultural domains involved. For example, for the Proto-Indo-European base *Haios-*, whose reflexes in the daughter languages mean variously 'copper', 'bronze' and 'iron', we reconstruct the prehistoric meaning 'copper', not 'bronze' and especially not 'iron', since the period of Indo-European linguistic unity was during the Copper Age and earlier.

The analysis of language as closely linked to its speakers' culture was developed during the early stage of Indo-European studies.

This trend produced studies, dating to the middle and especially late nineteenth century, which have remained significant to the present day. Such investigations were often called examples of linguistic palaeontology, after Pictet, who analyzed (1859-63) ancient Indo-European culture on the basis of linguistic data.

This trend in linguistics might better be called 'linguistic palaeontology of culture' since its object of investigation is not the proto-language but the proto-culture of the speakers; what is reconstructed is not so much the language itself as the extra-linguistic world reflected in the linguistic data.

The Saussurean principle of studying language 'in and for itself' became standard in the subsequent decades, causing a decline in language-and-culture studies and narrowing the focus of linguists' attention to the structure of language. This restriction to structure alone is beginning to shift, as of the past several decades, to the study of language, viewed as a product of human culture, in close linkage with culture and with the history of its speakers as a frame of reference.

This development entails that the study and reconstruction of lexical semantics and the distribution of lexemes among the daughter languages are of particular importance to the structure and history of the proto-language. The lexemes themselves, once we have reconstructed their original semantics, give evidence for the ecological and cultural environments of the daughter languages, which give us a first approximation to aspects of material and spiritual culture, and points to changes in their environment brought on by migrations of daughter language.

Comparison of formally cognate words from the daughter languages and their attested meanings yields reconstructions of both proto-forms and proto-se-

mantics. These lexical archetypes may go back to proto-linguistic times and be posited for the proto-linguistic system; or they may belong to the various chronological layers reflecting dialect groupings within the proto-language.

Comparing the reconstructed forms and meanings makes it possible to discern lexico-semantic fields. These fields define sets of semantically grouped lexemes which designate extra-linguistic classes such as animals, plants, construction and dwellings, handicraft tools, and others.

Proto-linguistic lexemes naturally reflect the general features of the environment, material existence, and culture of the speakers of the daughter languages. These same lexemes provide the oldest lexical stratum of a proto-language and its separate branches. A classificatory lexicon of the proto-linguistic semantemes may be set up in individual semantic fields, bringing in whatever information about the possible historical denotata of these lexemes is essential to shed light on the ecological environment and culture type of the speakers of the daughter dialects.

Such a proto-linguistic lexico-semantic system can be reconstructed through comparison of cognate forms in the daughter languages. Comparing this system with extra-linguistic reality, we obtain an approximation to a general picture of the economy, material culture, and social organization of the speakers of the proto-language or its dialect groups. The posited general picture can give historical reality through typological comparison with actual cultures of the past and present. This is a typological verification of a reconstructed culture against attested cultures. In verifying a reconstructed culture, and in particular its material side, archaeological facts which demonstrate the typological plausibility of the reconstructed material culture receive a particular significance.

The comparative semantic analysis of words from separate daughter dialects of a proto-language and text fragments in separate daughter traditions, together with the method that may be called 'linguistic palaeontology of culture', makes it possible to reconstruct a semantic lexicon of the proto-language and a picture of proto-culture of the speakers of the proto-language or its dialect groups. This points to a possible original homeland and suggests routes of migration by which speakers of the proto-language or its dialects may have reached their historical territories.

Determining the homeland requires, first of all, that we establish an absolute

## LANGUAGE

chronology, at least an approximate one, for the migrations. This can be done by demonstrating affinities between the linguistically reconstructed culture of the proto-speakers and particular archaeological cultures. This leads to the question of how one correlates linguistic data with archaeological and historical cultural data. Specifically, it raises the question of whether a particular linguistic community can be correlated with a particular archaeological culture. Presumably a linguistic system can be correlated with a culture if the culture yields the same realia as the language does: the realia are identical in their elementary composition and the interconnections among the elements are identical.

Fulfilling this task requires working out a typology of archaeological cultures, with implicational relations between individual units of material culture<sup>1</sup>. If the implicational rules for a culture coincide with those for the culture reconstructed from linguistic data, then the identification of the two cultures becomes more plausible. Certain elements and features of the cultures may fail to coincide, but essential requirement is that whole complexes coincide and that there are no incompatible traits.

Since the reconstructions — both linguistic and historical — are necessarily incomplete, failure of individual components to coincide is no obstacle to their historical identification. With limited and incomplete reconstructions, the size of the one complex (A, reconstructed linguistically) can be either greater or less than that of the other (B, established archaeologically). We can also have intersection of the complexes, with a large or smaller portion of either the archaeological culture B' or the linguistic culture A' outside the common part AB. It is essential that the non-coinciding parts A' and B' not contain features which are incompatible in view of implications internal to the two complexes (as for instance if an element of A entailed that the entire reconstructed system A contain some feature which is incompatible with a feature which either is reconstructed for part B or is implied by other elements in B).

When the question of the original territory of the common language and the identification of its linguistically reconstructed culture with an archaeological culture is posed in this way, the task of the linguist is to provide a

---

1 Similarly, if a typology of archaeological cultures is to be established there must be agreement on a unified description and inventory of cultural artefacts. A unified inventory is a necessary precondition for typological comparison of different cultures.



systematic semantic analysis of all reconstructed words and phrases which point to individual features of material and intellectual culture than can typologically distinguish this culture from others. That analysis requires that the reconstructed words and phrases be linked to denotata and that the cultural-ecological and historical-geographical characteristics of those denotata be determined.

Taking into account the linguistic and culture-historical data we can locate the Indo-European community somewhere in the Near East and most likely on the northern periphery of Southwest Asia, i.e. somewhere from the South of the Southern Caucasus to Upper Mesopotamia. This is where linguistic and cultural contacts could have occurred in the fourth millennium bc between Proto-Indo-European and Semitic, Sumerian, South Caucasian, and other languages of the ancient Near East. Contact with some of these languages, particularly South Caucasian and Semitic, can be assumed to involve close interaction, in some cases of a substratal nature, over a long period of time within a single culture-historical and linguistic area.

The main question associated with the problem of the actual existence of a common Indo-European proto-language in space and time is the question of chronology and the territory occupied by the Proto-Indo-European, this lower chronological limit post quem non is the turn of the third to the second millennium BC, when we find the earliest evidence of Hittite and other Anatolian languages.

It may be concluded from Anatolian onomastics of the Cappadocian tablets dating from the turn of the third to the second millennium bc that the various Anatolian languages underwent an extremely long period of development and formation after they had become distinct from one another; this period postdates the time when the Anatolian family had become differentiated from Proto-Indo-European.

This means that the differentiation of the Anatolian family of languages from the Indo-European proto-language, and thus the beginning of the breakup of the protolanguage, must be dated to a period not later than the fifth-fourth millennium BC, and possibly much earlier.

Establishing an original territory for the Proto-Indo-European language and people raises the question of identifying an archaeological culture within

## LANGUAGE

the Near East and Southwest Asia that can be associated with Proto-Indo-European.

It must be noted at the outset that there is no archaeological culture in the area and time period indicated that can clearly be identified as Proto-Indo-European. We can only speak of possible connections, direct or indirect, of known Southwest Asian archaeological cultures of the relevant time period with Indo-European. Such connections of ancient cultures with the reconstructed features of Proto-Indo-European intellectual and material culture could serve as indirect evidence for the general possibility of identifying them with Indo-European. And in relevant areas of the Near East of the fifth to fourth millennia BC we do find a number of cultures exhibiting great similarity to certain features of the reconstructed Proto-Indo-European culture.

Similarity of culture, and especially of symbolism, can be observed between Halaf in northern Mesopotamia and Catalhoyuk in western Anatolia of the sixth millennium bc. Whole inventories of cultural, and in particular cultic, symbols can be said to coincide.

The culture-historical links between the Halaf culture and the earlier Catalhoyuk culture could be interpreted as due to migration of the Catalhoyuk culture from Asia Minor in the direction of northern Mesopotamia in the sixth to fifth millennia bc. Under this interpretation, the Catalhoyuk culture could be traced to an ancient stratum of the Proto-Indo-Europeans who migrated toward the east. This yields a deep chronology for PIE (seventh-fifth millennium bc).

Establishing the original habitat of the Proto-Indo-Europeans in Southwest Asia changes totally the traditional picture of the routes of migrations of the carriers of the Indo-European dialects to the historical areas of their habitation. We are especially concerned here with the routes of migrations of the Proto-Greeks to mainland Greece through Anatolia in a westward direction and of the Indo-Iranians from the same original habitat in Anatolia in eastward direction until the ancient Indic tribes reached Hindustan and the Indus valley.

Population-genetic consideration of inherited immunological properties gives another perspective on the hypothesis of an eastward migration into India.

For Asia Minor and the other eastern Mediterranean countries a correlation is assumed between the range of malaria (from southern Greece and Asia Minor eastward to Hindustan) and a hereditary variant of the haemoglobin molecule which triggers sickle-cell anaemia: the sickle-cell gene under heterozygous conditions increases the organism's resistance to malaria. This hereditary factor took on particular significance with the spread of agriculture, when moist forests began to be cleared for fields, leading to an increase in the number of mosquitos. If the ancient Indic tribes entering Hindustan had not had genetic resistance to malaria, they could not have survived there. Hence an entry into India from the west, from the Southwest Asian sickle-cell area, is more plausible than the traditionally assumed migration from Central Asia to the north, where there is no sickle-cell anaemia.

Further evidence for this is the nature of skeletal remains of the ancient population of these regions. According to recent craniological data, a recurrent cause of death in the population of regions such as the Indian subcontinent (in particular the ancient cities of Proto-Indic civilization Mohenjodaro and Harappa) and some of the southernmost parts of the European continent (the southern extremities of the Peloponnesian and Apennine peninsulas) was the after-effects of malaria epidemics, which triggered defects of bone tissue in the skull (porotic hyperostosis) in broad segments of the population. Significantly, almost all of the pre-Indo-European population of these regions had precisely this type of skull.

It is highly likely that the Indo-Aryan tribes arriving in Hindustan and the Greek and Italic tribes arriving in the southern parts of Europe, who do not display such craniological characteristics, had hereditary immunity to malaria and its lethal consequences. Such an immunity could have been acquired only in the area where tropical malaria is found, which excludes all of the northern part of the original range of the Indo-European tribes in Eurasia.

All these problems are dealt with at length in our joint two-volume monograph on the Proto-Indo-European language, the Proto-Indo-European culture and the Indo-European migrations.

The monograph contains a relatively complete Proto-Indo-European vocabulary reconstructed along new phonological patterns and arranged in different semantic groups covering the geographical surrounding of the carriers

## LANGUAGE

of the Proto-Indo-European language, the plant and the animal world, the social and cultural environment, and a wide spectrum of the Proto-Indo-European physical, biological and socio-economic reality. It is on the basis of this reconstructed Proto-Indo-European vocabulary and their historical semantic interpretation that conclusions are being made concerning the time depths and the routes of Proto-Indo-European migrations (cf. Gamkrelidze & Ivanov 1995).

## REFERENCE

Gamkrelidze, T.V. & V.V. Ivanov, 1995. *Indo-European and the Indo-Europeans: a Reconstruction and Historical Analysis of a Proto-Language and a Proto-Culture*. 2 vols., with a preface by Roman Jakobson. New York (NY) & Berlin: Mouton de Gruyter. (English version by Johanna Nichols, ed. by Werner Winter.)

# ჭეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია და სემანტიკის საფუძვლები\*

ალფრედ ტარსკი

ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი განმარტებითი ხასიათისაა, მეორე კი – უფრო პოლემიკური.

პირველ ნაწილში არაფორმალურად ვაჯამებ ჩემი გამოკვლევის მთავარ შედეგებს ჭეშმარიტების განსაზღვრებასა და სემანტიკის საფუძვლების უფრო ზოგად პრობლემასთან დაკავშირებით. ეს შედეგები წარმოდგენილია ნაშრომში, რომელიც დაიბეჭდა რამდენიმე წლის წინ.<sup>1</sup> მართალია, ჩემი გამოკვლევები ეხება კლასიკური ფილოსოფიის ცნებებს, მაგრამ მათ ნაკლებად იცნობენ ფილოსოფოსთა წრეებში, ალბათ, მათი მკაცრად ტექნიკური ხასიათის გამო. ამიტომაც, ვფიქრობ, მაპატიებენ ამ საკითხის კიდევ ერთხელ წამონვევას.<sup>2</sup>

ჩემი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ გამოითქვა არაერთი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება, რომელთაგან ზოგიერთი დაიბეჭდა, ზოგი კი საზოგადოებრივი თუ კერძო განხილვის საგნად იქცა, სადაც მეც ვიღებდი მონაწილეობას.<sup>3</sup> ნაშრომის მეორე ნაწილში ვეცადე გამომეხატა ჩემი დამოკიდებულება ამ მოსაზრებების მიმართ. ვიმედოვნებ, რომ ამ კონტექსტში გაკეთებული შენიშვნები არ იქნება განხილული როგორც წმინდა პოლემიკა და დარწმუნდებით, რომ მას კონსტრუქციული წვლილის შეტანაც შეუძლია საკითხის გარკვევაში.

ნაშრომის მეორე ნაწილში უხვად ვიყენებ იმ მასალას, რომელიც უშურველად გადმომცა დოქტ. მარია კოკოშინსკამ (ლვოვის უნივერსიტეტი). განსაკუთრებით დავალებული და მადლიერი ვარ პროფ. ერნესტ ნაგელის (კოლუმბიის უნივერსიტეტი) და

\* Readings in Philosophical Analysis, Selected and Edited by Herbert Feigl and Wilfrid Sellars, Department of Philosophy University of Minnesota, New York, Appleton - Century - Crofts, INC. ნაშრომი გადმობეჭდილია ავტორისა და გამომცემლების ნებართვით "Symposium on Meaning and Truth", Philosophy and Phenomenological Research - იდან, ტომი IV, 1944. შენიშვნები იხ. ნაშრომის ბოლოს.

## LOGIC

პროფ. დევიდ რაინინისა (კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი) ტექსტის საბოლოო ვარიანტის მომზადებისა და სხვადასხვა კრიტიკული შენიშვნებისთვის.

### I. განმარტება

#### 1. მთავარი პრობლემა – ჭეშმარიტების დამაკმაყოფილებელი განსაზღვრება

ჩვენი მსჯელობის ძირითადი საგანი იქნება *ჭეშმარიტების ცნება*.<sup>4</sup> მთავარი პრობლემა არის ამ ცნების *დამაკმაყოფილებელი განსაზღვრება* ანუ ისეთი განსაზღვრება, რომელიც იქნება *ფაქტობრივად ადეკვატური* და *ფორმალურად კორექტული*. მაგრამ პრობლემის ასეთმა ფორმულირებამ, მისი მეტისმეტად ზოგადი ხასიათის გამო, შესაძლებელია გარკვეული ორაზროვნება გამოიწვიოს, ამიტომაც ის დამატებით კომენტარებს მოითხოვს.

ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავაკონკრეტოთ პირობები, რომლის დროსაც ჭეშმარიტების განსაზღვრება შეიძლება ჩაითვალოს ფაქტობრივად ადეკვატურად. ჩვენი განსაზღვრება მიზნად არ ისახავს დაზუსტდეს ნაცნობი სიტყვის მნიშვნელობა ახალი ცნების აღსანიშნად, მისი მიზანია, ძველი ცნების რეალური მნიშვნელობის მოძიება. ჩვენ იმდენად ზუსტად უნდა განვსაზღვროთ ეს ცნება, რომ ნებისმიერ ადამიანს შეეძლოს გაარკვიოს, მართლაც ასრულებს თუ არა ეს განსაზღვრება თავის ამოცანას.

მეორე მხრივ, უნდა დადგინდეს, რაზეა დამოკიდებული განსაზღვრების ფორმალური სისწორე. ამგვარად, ჩვენ უნდა დავაზუსტოთ ის სიტყვები ან ცნებები, რომლებიც გვსურს გამოვიყენოთ ჭეშმარიტების ცნების განსაზღვრისას. აგრეთვე, აუცილებელია ჩამოვაცალიბოთ ფორმალური წესები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი განსაზღვრება. უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, უნდა აღვწეროთ იმ ენის ფორმალური სტრუქტურა, რომლის ფარგლებშიც იქნება ჩამოყალიბებული განსაზღვრება.

ამ საკითხებზე მსჯელობა მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს სტატიის პირველ ნაწილში.

#### 2. ტერმინი „ჭეშმარიტის“ „მოცულობა“

ვინცებთ რამდენიმე შენიშვნით, რომელიც ეხება ჭეშმარიტების ცნების მოცულობას.

პრედიკატი „ჭეშმარიტი“ ზოგჯერ გამოიყენება ისეთი ფსიქოლოგიური მოვლენის მიმართ, როგორცაა მსჯელობა ან რწმენა, ზოგჯერ – გარკვეული ფიზიკური ობიექტის, სახელდობრ, ლინგვისტური ფრაზების, კერძოდ, წინადადებების და ზოგჯერ კი ე.წ. „გამონათქვამების“ მიმართ. ჩვენთან „წინადადება“ გულისხმობს იმას, რასაც ჩვეულებრივ გრამატიკაში – „თხრობითი წინადადება“. რაც შეეხება ტერმინ „გამონათქვამს“, მისი მნიშვნელობა არაერთი ფილოსოფოსისა და ლოგიკოსის განსჯის საგანი ყოფილა და, ვფიქრობ, დღემდე არაა განსაზღვრული ნათლად და არაორაზროვნად. გარკვეულ მიზეზთა გამო ტერმინ „ჭეშმარიტი“-ის გამოყენება უფრო მოსახერხებელია წინადადებების მიმართ და ჩვენც გავყვებით ამ კურსს.<sup>5</sup>

ჭეშმარიტების ცნება ისევე, როგორც წინადადების ცნება, ყოველთვის უნდა დავაკავშიროთ კონკრეტულ ენასთან, რადგან ცხადია, რომ ერთი და იგივე გამონათქვამი, რომელიც არის ჭეშმარიტი წინადადება ერთ ენაში, შეიძლება იყოს მცდარი ან უაზრო მეორეში.

რასაკვირველია, ის ფაქტი, რომ ჩვენ აქ, უპირველეს ყოვლისა, გვინტერესებს წინადადებების ჭეშმარიტების ცნება, არ გამორიცხავს ამ ცნების შემდგომ განვრცობას სხვა სახის ობიექტებზე.

### 3. ტერმინის „ჭეშმარიტი“ მნიშვნელობა

ბევრად უფრო სერიოზული სიძნელეებია დაკავშირებული ცნება ჭეშმარიტების შინაარსთან.

სიტყვა „ჭეშმარიტი“, ყოველდღიური სალაპარაკო ენის სხვა სიტყვების მსგავსად, რასაკვირველია, ორაზროვანია. არა მგონია, რომ ფილოსოფოსებს, რომლებიც მსჯელობდნენ ამ ცნებაზე, სიცხადე შეეტანათ ამ საკითხში. მათ შრომებსა და მსჯელობებში ვხვდებით ჭეშმარიტებისა და მცდარობის მრავალ განსხვავებულ გაგებას და საჭიროა ვაჩვენოთ, თუ რომელი მათგანი იქნება ჩვენი მსჯელობის საფუძველი.

ვფიქრობთ, ჩვენი განსაზღვრება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ ინტუიციას, რომელსაც საფუძვლად უდევს არისტოტელეს კლასიკური კონცეფცია ჭეშმარიტების შესახებ – ინტუიციას, რომლის გამოხატულებას ვპოულობთ არისტოტელეს მეტაფიზიკის კარგად ცნობილ სიტყვებში:

*იმის თქმა, რომ არ არის ის, რაც არის ან არის ის, რაც არ არის, მცდარია, მაშინ, როცა იმის თქმა, რომ არის ის, რაც არის ან არ არის ის, რაც არ არის,*

## LOGIC

*ჭეშმარიტია.*

თუ გამოვიყენებდით თანამედროვე ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, ეს აზრი შეგვეძლო გამოგვეხატა კარგად ცნობილი ფორმულით:

*წინადადების ჭეშმარიტება არის მისი თანხმობა (ან შესაბამისობა) სინამდვილესთან.*

(ჭეშმარიტების თეორიისათვის, რომელიც ამ უკანასკნელ ფორმულირებას ეფუძნება, ზოგჯერ იყენებენ ტერმინს „შესაბამისობის თეორია“).

მეორე მხრივ, თუ გადავწყვეტთ განვავრცოთ ტერმინის „აღნიშვნა“ მიღებული გამოყენება არა მხოლოდ სახელების, არამედ ასევე წინადადებების მიმართაც და თუ შევთანხმდებით, ვილაპარაკოთ წინადადებებზე, როგორც „არსებული ვითარების“ აღნიშვნაზე, მაშინ შეგვიძლია იმავე მიზნით გამოვიყენოთ შემდეგი ფრაზა:

*წინადადება ჭეშმარიტია, თუ ის აღნიშნავს არსებულ ვითარებას.<sup>6</sup>*

მაგრამ ყველა ამ ფორმულირებამ შეიძლება მიგვიყვანოს სხვადასხვა გაუგებრობებთან, რადგან არც ერთი მათგანი არ არის საკმარისად ზუსტი და ნათელი (თუმცა ეს გაცილებით უფრო ნაკლებად ეხება არისტოტელეს თავდაპირველ ფორმულირებას); ყოველ შემთხვევაში, არც ერთი მათგანი არ შეიძლება განვიხილოთ ჭეშმარიტების დამაკმაყოფილებელ განსაზღვრებად. ჩვენზეა დამოკიდებული უფრო ზუსტი განსაზღვრების მოძებნა.

## 4. განსაზღვრების ფაქტობრივი ადეკვატურობის კრიტერიუმი<sup>7</sup>

დავინწყოთ კონკრეტული მაგალითით. განვიხილოთ წინადადება „*თოვლი არის თეთრი*“. ვსვამთ კითხვას, რა პირობებში იქნება ეს წინადადება ჭეშმარიტი ან მცდარი. ცხადია, რომ თუ დავეყრდნობით ჭეშმარიტების კლასიკურ ცნებას, მაშინ ვიტყვით, წინადადება არის ჭეშმარიტი, თუ თოვლი არის თეთრი და ის არის მცდარი, თუ თოვლი არ არის თეთრი. მაშასადამე, ჭეშმარიტების განსაზღვრება, ჩვენი კონცეფციის თანახმად, უნდა გულისხმობდეს შემდეგ ეკვივალენტობას:

*წინადადება „თოვლი არის თეთრი“ ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ თოვლი არის თეთრი.*



მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ფრაზა „თოვლი არის თეთრი“ ამ ეკვივალენტობის მარცხენა მხარეს ჩასმულია ბრჭყალებში, მარჯვნივ კი მოცემულია ბრჭყალების გარეშე. მარჯვენა მხარეს ჩვენ გვაქვს თავად წინადადება და მარცხნივ – წინადადების სახელი. შუა საუკუნეების ლოგიკური ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, შეგვიძლია ასევე ვთქვათ, რომ მარჯვენა მხარეს სიტყვები „თოვლი არის თეთრი“ გვხვდება როგორც *suppositio formalis* და მარცხენა მხარეს – როგორც *suppositio materialis*. ალბათ არცაა საჭირო იმის ახსნა, თუ რატომ უნდა გვქონდეს ეკვივალენტობის მარცხენა მხარეს წინადადების სახელი და არა თავად წინადადება. რადგან, ჯერ ერთი, ჩვენი ენის გრამატიკის მიხედვით, „X არის ჭეშმარიტი“ ფორმის გამონათქვამი არ იქცევა მნიშვნელობის მქონე წინადადებად, თუ ჩვენ მასში 'X'-ს ჩავანაცვლებთ წინადადებით ან სხვა რამით, გარდა სახელისა – რადგანაც წინადადების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელი ან გამონათქვამი სახელის ფუნქციით. მეორეც, ნებისმიერი ენის გამოყენების ფუნდამენტური პრინციპების თანახმად, გამონათქვამში, რომელიც რაიმე ობიექტს ეხება, უნდა ფიგურირებდეს ამ ობიექტის სახელი და არა თავად ობიექტი. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ გვსურს ვთქვათ რაიმე წინადადების შესახებ, მაგალითად, რომ ის არის ჭეშმარიტი, უნდა გამოვიყენოთ ამ წინადადების სახელი და არა თავად წინადადება.<sup>8</sup>

შეიძლება დავამატოთ, რომ წინადადების ბრჭყალებში ჩასმა არავითარ შემთხვევაში არ არის მისი სახელის ფორმირების ერთადერთი გზა. მაგალითად, ანბანში ასოების ჩვეულებრივი რიგის გათვალისწინებით შემდეგი გამონათქვამი შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც წინადადების – „თოვლი არის თეთრი“ – სახელი (აღწერა):

*წინადადება, რომელიც შეიცავს სამ სიტყვას, რომელთაგან პირველი შედგება ქართული ანბანის მე-8, მე-14, მე-6, მე-11 და მე-9 ასოებისგან, მეორე – 1-ლი, მე-17, მე-9 და მე-18 ასოებისგან, მესამე – მე-8, მე-5, მე-8, მე-17 და მე-9 ასოებისგან...*

ჩვენ ახლა შეგვიძლია განვაზოგადოთ ზემოთ გამოყენებული პროცედურა. განვიხილოთ ნებისმიერი წინადადება: ჩვენ მას შევცვლით 'x' ასოთი. ვარქმევთ ამ წინადადებას სახელს და ვცვლით მას სხვა ასოთი, ვთქვათ 'X'-ით. ახლა ვკითხულობთ, რა ლოგიკური კავშირია ამ ორ წინადადებას შორის – „X არის ჭეშმარიტი“ და 'x'. ნათელია, რომ ჭეშმარიტების ძირითად ცნებაზე ჩვენი შეხედულების თანახმად, ეს წინადადებები ეკვივალენტურია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გვაქვს შემდეგი ეკვივალენტობა:

(T) X არის ჭეშმარიტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა x.

## LOGIC

ნებისმიერ ასეთ ეკვივალენტობას (სადაც 'p' ჩანაცვლებულია ენის ნებისმიერი თხრობითი წინადადებით, რომლის მიმართაც არის გამოყენებული სიტყვა „ჭეშმარიტი“ და 'X' ჩანაცვლებულია ამ წინადადების სახელით) შეგვიძლია ვუწოდოთ „(T) ფორმის ეკვივალენტობა“.

ახლა საბოლოოდ შეგვიძლია ზუსტი ფორმით ჩამოვაცალიბოთ პირობები, რომლებშიც ტერმინ „ჭეშმარიტის“ გამოყენებასა და განსაზღვრებას განვიხილავთ როგორც ფაქტობრივად ადეკვატურს: ჩვენ გვინდა ტერმინი „ჭეშმარიტი“ ისე გამოვიყენოთ, რომ შეიძლებოდეს (T) ფორმის ყველა ეკვივალენტობის მტკიცება, და ვუწოდებთ *ჭეშმარიტების განსაზღვრებას* „ადეკვატურს“, თუ მისგან გამომდინარეობს ყველა ეს ეკვივალენტობა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არც თავად (T) გამონათქვამი (რომელიც არის არა წინადადება, არამედ მხოლოდ წინადადების სქემა), არც (T) ფორმის რომელიმე ცალკეული მაგალითი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც *ჭეშმარიტების განსაზღვრება*. შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ (T) ფორმის ყოველი ეკვივალენტობა, რომელიც მიღებულია 'p'-ს ჩანაცვლების შედეგად კონკრეტული წინადადებით და 'X'-ის – ამ წინადადების სახელით, შეიძლება განვიხილოთ როგორც *ჭეშმარიტების ნაწილობრივი განსაზღვრა*, რომელიც ხსნის, თუ რაში მდგომარეობს ამ ერთი ცალკეული წინადადების *ჭეშმარიტება*. ზოგადი განსაზღვრება უნდა იყოს, გარკვეული აზრით, ყველა ამ ნაწილობრივი განსაზღვრებების ლოგიკური ნამრავლი.

(ბოლო შენიშვნა მოითხოვს რამდენიმე კომენტარს. ენაში შეიძლება დაშვებული იყოს წინადადებების განუსაზღვრელი რაოდენობის აგება და, მაშასადამე, ასეთი ენის წინადადებებთან დაკავშირებული *ჭეშმარიტების ცნების ნაწილობრივი განსაზღვრებების რაოდენობაც* ასევე განუსაზღვრელი იქნება. ამდენად, ჩვენი შენიშვნა უფრო ზუსტი რომ იყოს, უნდა ავხსნათ, რა იგულისხმება „განუსაზღვრელად ბევრი წინადადების ლოგიკურ ნამრავლში“; მაგრამ ასეთ შემთხვევაში თანამედროვე ლოგიკის ტექნიკურ პრობლემებს უნდა ჩავუღრმავდეთ).

## 5. *ჭეშმარიტება* – როგორც სემანტიკური ცნება

*ჭეშმარიტების* ახლახან განხილული ცნებისათვის მსურს შემოგთავაზოთ სახელი „*ჭეშმარიტების სემანტიკური ცნება*“.

*სემანტიკა* არის დისციპლინა, რომელიც, მარტივად რომ ვთქვათ, შეისწავლის *ენობრივი გამონათქვამებისა და იმ ობიექტების* (ან „საქმის ვითარების“) *ურთ-იერთმიმართებებს*, რომლებზეც არის „ლაპარაკი“ ამ გამონათქვამებში. *სემანტი-*

კური ცნების ტიპიურ მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ *აღნიშვნის, დაკმაყოფილებისა და განსაზღვრების ცნებები*:

*გამონათქვამი „თავისი ქვეყნის მამა“ აღნიშნავს (მიგვანიშნებს) ჯორჯ ვაშინგტონს;*

*თოვლი აკმაყოფილებს წინადადებას (ფუნქციას, პირობას) „x არის თეთრი“;*

*განტოლება „ $2 \cdot x = 1$ “ ცალსახად განსაზღვრავს რიცხვს  $1/2$ ;*

მაშინ, როცა სიტყვები „აღნიშნავს“, „აკმაყოფილებს“, და „განსაზღვრავს“ გამოხატავს მიმართებებს (გარკვეულ გამონათქვამებსა და ობიექტებს შორის, რომელთა „შეტყობინება“ ხდება ამ გამონათქვამებით), სიტყვა „ჭეშმარიტი“ განსხვავებული ლოგიკური ბუნებისაა: ის გამოხატავს გარკვეული გამონათქვამების, სახელდობრ, წინადადებების თვისებას (ან აღნიშნავს კლასს). მაგრამ ადვილი დასანახია, რომ ადრე მოცემული ყველა ფორმულირება, რომელთა მიზანი იყო აეხსნათ ამ სიტყვის მნიშვნელობა (შდრ. პარაგრაფები 3 და 4) ეხებოდა არა მხოლოდ თავად წინადადებებს, არამედ ასევე ობიექტებს, „რომლებზეც იყო ლაპარაკი“ ამ წინადადებებში ან, შესაძლოა, მათ მიერ აღწერილ „საქმის ვითარებას“. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, ჭეშმარიტების ზუსტი განსაზღვრების მიღწევის უმარტივესი და ყველაზე ბუნებრივი გზა გულისხმობს სხვა სემანტიკური ცნებების გამოყენებას, მაგ., დაკმაყოფილების ცნებისას. ამ მიზეზის გამოა, რომ აქ წარმოდგენილ ჭეშმარიტების ცნებას განვიხილავთ სემანტიკის ცნებებს შორის; ჭეშმარიტების განსაზღვრის პრობლემა გვიჩვენებს, რომ ის მჭიდროდ არის დაკავშირებული უფრო ზოგად პრობლემასთან – თეორიული სემანტიკის საფუძვლების ჩამოყალიბებასთან.

აღბათ არ იქნება ზედმეტი, თუ ვიტყვი, რომ სემანტიკა, როგორც ის ფორმულირებულია ამ ნაშრომში (და ავტორის წინა შრომებში) ზომიერი და მოკრძალებული დისციპლინაა, რომელსაც არა აქვს პრეტენზია, იყოს პანაცეა ყველა წარმოსახვითი თუ რეალური ავადმყოფობისა და სნეულებისთვის, რაც კი კაცობრიობას აწუხებს. თქვენ ვერ ნახავთ სემანტიკაში წამალს გაფუჭებული კბილებისათვის, განდიდების მანიისთვის ან კლასობრივი კონფლიქტებისთვის. სემანტიკა არც იმის დასამტკიცებელი საშუალებაა, რომ ყველა, მოსაუბრისა და მისი მეგობრების გარდა, უაზრობას ლაპარაკობს.

უძველესი დროიდან დღემდე სემანტიკის ცნებები ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს ფილოსოფოსების, ლოგიკოსებისა და ფილოლოგების დისკუსიებში. მიუხედავად ამისა, დიდი ხნის მანძილზე ამ ცნებებს ეჭვის თვალთ უყურებდნენ. ისტორიული თვალსაზრისით, ეს ეჭვი სავსებით გამართლებულია. მაშინ, როცა სემანტიკური ცნებების (როგორც ისინი გამოიყენება ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში)

მნიშვნელობა თითქოს საკმაოდ ცხადი და გასაგებია, ამ მნიშვნელობის ზოგადი და იმავდროულად ზუსტი დახასიათების ყველა ცდა წარუმატებლად მთავრდებოდა. და რაც ყველაზე უარესია, არაერთ მსჯელობას, რომელშიც ეს ცნებები იყო ჩართული და რომელიც სხვაგვარი თითქოს სწორიც იყო და ცხად წინაპირობებსაც ეფუძნებოდა, ხშირად მივყავდით პარადოქსებამდე და წინააღმდეგობებამდე. აქ საკმარისია ვახსენოთ *მატყუარას პარადოქსი*, რიჩარდის *განსაზღვრადობის* (სიტყვების სასრული რაოდენობის საშუალებით) *პარადოქსი* და გრელინგ-ნელსონის *ჰეტეროლოგიური ტერმინების პარადოქსი*.<sup>9</sup>

ჩემი აზრით, მეთოდი, რომელიც აღწერილია ამ ნაშრომში, დაგვეხმარება გადავლახოთ ეს სიძნელეები და დავარწმუნებ სემანტიკის ცნებების თანამიმდევრული გამოყენების შესაძლებლობაში.

## 6. ენები წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურით

პარადოქსების გაჩენის შესაძლებლობის გამო განსაკუთრებულად აქტუალური ხდება იმ ენის ფორმალური სტრუქტურისა და ლექსიკური შემადგენლობის წინასწარი განსაზღვრის პრობლემა, რომელშიც მოცემული უნდა იყოს სემანტიკური ცნებების განსაზღვრებები; ახლა სწორედ ამ საკითხს შევეხებით.

ენის სტრუქტურა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ზუსტად განსაზღვრული, როცა ის აკმაყოფილებს გარკვეულ ზოგად პირობებს. ამგვარად, ენის სტრუქტურის წინასწარი განსაზღვრისთვის არაორაზროვნად უნდა დავახასიათოთ იმ სიტყვებისა და გამონათქვამების კლასი, რომლებიც ჩაითვლებიან *მნიშვნელობის მქონედ*. კერძოდ, უნდა გამოვყოთ ყველა ის სიტყვა, რომელსაც გამოვიყენებთ განსაზღვრის გარეშე და რომელსაც ვუნოდებთ „*განსაზღვრელ* (ან *ამოსავალ*) *ტერმინებს*“; ასევე უნდა ჩამოვაყალიბოთ ე.წ. *განსაზღვრის წესები* ახალი ან *განსაზღვრული ტერმინების* შემოსატანად. გარდა ამისა, უნდა შევიმუშავოთ კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც გამონათქვამების სიმრავლის ფარგლებში გამოვყოფთ „*წინადადებებს*“. და ბოლოს, უნდა ჩამოვაყალიბოთ პირობები, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მოცემული ენის წინადადება მივიჩნიოთ ჭეშმარიტ წინადადებად. კერძოდ, ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ყველა *აქსიომა* (ანუ *ამოსავალი წინადადება*), ე.ი. ყველა ის წინადადება, რომლის მიღებასაც გადავწყვეტთ დამტკიცების გარეშე; აგრეთვე, ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ ე.წ. *გამოყვანის წესები* (ანუ *დამტკიცების წესები*), რომელთა დახმარებით მოცემული წინადადებებიდან მიიღება ახალი წინადადებები. აქსიომები ისევე, როგორც გამოყვანის წესების მეშვეობით მათგან მიღებული წინადადებები, განიხილება როგორც „*თეორემები*“ ანუ „*დამტკიცებადი წინადადებები*“.

თუ ენის სტრუქტურის წინასწარი განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შესაბამისი გამონათქვამების მხოლოდ ფორმა, ვიტყვით, რომ ენა არის ფორმალიზებული. ასეთ ენაში ჭეშმარიტ წინადადებებად მხოლოდ თეორემები ითვლება.

ამჟამად წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურის ენები არიან მხოლოდ დედუქციური ლოგიკის სხვადასხვა სისტემების ფორმალიზებული ენები, რომლებიც შეიძლება გამდიდრებული იყვნენ გარკვეული არალოგიკური ტერმინებითაც. თუმცა ამ ენების გამოყენების სფერო უფრო ფართოა; თეორიულად ჩვენ შეგვიძლია მათ ფარგლებში დავამუშაოთ მეცნიერების სხვადასხვა დარგები, მაგალითად, მათემატიკა და თეორიული ფიზიკა.

(მეორე მხრივ, შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი ენებიც, რომელთაც ექნებათ ზუსტად განსაზღვრული სტრუქტურა ფორმალიზაციის გარეშე. ასეთ ენაში ის, თუ რამდენად მისაღებია რომელიმე წინადადება, შეიძლება ყოველთვის არ იყოს დამოკიდებული მის ფორმაზე და სხვა, არალინგვისტური ფაქტორებით იყოს განპირობებული. საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ ტიპის ენის აგება, განსაკუთრებით კი ისეთის, რომელიც საკმარისი აღმოჩნდებოდა ემპირიული მეცნიერებების ფართო სპექტრის დასამუშავებლად; რადგან ასეთ შემთხვევაში გამართლდებოდა ის იმედი, რომ ენები წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურით შეიძლებენ საბოლოოდ ჩაენაცვლონ ყოველდღიურ სალაპარაკო ენას მეცნიერულ დისკურსში).

*ჭეშმარიტების განსაზღვრის პრობლემა შეიძლება მკაფიოდ ჩამოყალიბდეს და ცალსახად გადაიჭრას მხოლოდ იმ ენებისთვის, რომელთა სტრუქტურა ზუსტადაა წინასწარ განსაზღვრული. სხვა ენებისთვის – ასე მაგალითად, ყველა ბუნებრივი, „სალაპარაკო“ ენისთვის – ეს პრობლემა რამდენადმე ბუნდოვანია და მხოლოდ მეტ-ნაკლებად შეიძლება გადაიჭრას. უხეშად რომ ვთქვათ, ეს პროცესი უნდა გულისხმობდეს ბუნებრივი ენის (ან მისი ნაწილის, რომელიც ჩვენ გვინტერესებს) ჩანაცვლებას რომელიმე ისეთი ენით, რომლის სტრუქტურა იქნება წინასწარ ზუსტად განსაზღვრული და რომელიც „რაც შეიძლება მცირედ“ იქნება განსხვავებული მოცემული ენისგან.*

## 7. მატყუარას პარადოქსი

იმისთვის, რომ ჩამოვყალიბოთ ზოგიერთი უფრო სპეციფიკური პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ენა, რომელშიც (ან რომლისთვისაც) მოცემული უნდა იყოს ჭეშმარიტების განსაზღვრება, მიზანშეწონილი იქნება ჯერ ის პარადოქსი განვიხილოთ, რომელიც უშუალოდ შეიცავს ჭეშმარიტების ცნებას, სახელდობრ, მატყუარას პარადოქსი.

## LOGIC

ეს პარადოქსი ცხადი რომ გახდეს,<sup>10</sup> განვიხილოთ შემდეგი წინადადება:

*წინადადება, რომელიც დაბეჭდილია ამ ნაშრომის გვ. 70 სტრ. 2, არ არის ჭეშმარიტი.*

სიმოკლისათვის ამ წინადადებას ჩავანაცვლებთ ასო 's'-ით.

ჩვენი შეთანხმების თანახმად, რომელიც შეეხებოდა ტერმინ „ჭეშმარიტის“ ადეკვატურ გამოყენებას, ვადგენთ (T) ფორმის შემდეგ ეკვივალენტობას:

(1) 's' არის ჭეშმარიტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ წინადადება, რომელიც დაბეჭდილია ამ ნაშრომის გვ. 70, სტრ. 2, არ არის ჭეშმარიტი.

მეორე მხრივ, სიმბოლო 's'-ის მნიშვნელობის გათვალისწინებით ემპირიულად ვადგენთ შემდეგ ფაქტს:

(2) 's' არის იმ წინადადებისა იდენტური, რომელიც დაბეჭდილია ამ ნაშრომის გვ. 70, სტრ. 2.

ახლა, იდენტურობის თეორიის ცნობილი კანონის მიხედვით (ლეიბნიცის კანონი), (2)-დან გამომდინარეობს, რომ ჩვენ შეგვიძლია (1)-ში ჩავანაცვლოთ გამონათქვამი „წინადადება, რომელიც დაბეჭდილია ამ ნაშრომის გვ. 70, სტრ. 2, 's' სიმბოლოთი. ამგვარად, მივიღებთ შემდეგ წინადადებას:

(3) 's' არის ჭეშმარიტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც 's' არ არის ჭეშმარიტი.

ამ გზით ვიღებთ აშკარა წინააღმდეგობას.

ჩემი აზრით, მეცნიერების განვითარებისთვის სახიფათო და საკმაოდ გაუმართლებელი იქნება, თუ სათანადოდ არ შეფასდება ამ და სხვა პარადოქსების მნიშვნელობა და მათ მხოლოდ ხუმრობად ან სოფიზმად განიხილავენ. ფაქტია, რომ აქ საქმე გვაქვს აბსურდთან, რადგან ჩვენ იძულებულნი ვიყავით დაგვემტკიცებინა მცდარი წინადადება (რადგანაც (3), როგორც ეკვივალენტობა ორ წინააღმდეგობრივ წინადადებას შორის, არის აუცილებლად მცდარი). თუ საკითხს სერიოზულად მივუდგებით, არ შეიძლება შევფრიგდეთ ამ ფაქტს. ჩვენ უნდა გავარკვიოთ ამის მიზეზი, ანუ უნდა გავაანალიზოთ წინამძღვრები, რომლებზეც პარადოქსი არის დაფუძნებული; შემდეგ უნდა უარვყოთ სულ მცირე ერთი მაინც ამ წინამძღვრებიდან და უნდა გამოვიკვლიოთ, თუ როგორ აისახება ეს ჩვენი კვლევის მთელ

სფეროზე.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ პარადოქსებმა გამორჩეული როლი ითამაშეს თანამედროვე დედუქციური მეცნიერებების საფუძვლების შექმნაში. ისევე როგორც სიმრავლეთა თეორიის პარადოქსები, კერძოდ, რასელის პარადოქსი (სიმრავლე, ყველა იმ სიმრავლისა, რომელიც არ არის თავისი თავის წევრი), იყო ლოგიკისა და მათემატიკის თანამიმდევრული ფორმალიზაციის წარმატებული მცდელობების ამოსავალი წერტილი, ასევე მატყუარას პარადოქსი და სხვა სემანტიკური პარადოქსები სათავეს უდებენ თეორიული სემანტიკის აგებას.

## 8. სემანტიკურად ჩაკეტილი ენების წინააღმდეგობრიობა<sup>7</sup>

თუ ჩვენ ახლა გავაანალიზებთ დაშვებებს, რომლებსაც მივყავართ მატყუარას პარადოქსამდე, დავინახავთ შემდეგს:

(I) იმპლიციტურად ვუშვებთ, რომ ენა, რომელშიც პარადოქსი არის აგებული, ამ ენის გამონათქვამებთან ერთად შეიცავს ამ გამონათქვამების სახელებსაც, ისევე როგორც სემანტიკურ ტერმინებს, როგორც არის ტერმინი „ჭეშმარიტი“, რომელიც ამ ენის წინადადებების მიმართ გამოიყენება. ჩვენ ასევე ვუშვებთ, რომ ყველა წინადადება, რომელიც განსაზღვრავს ამ ტერმინის ადეკვატურ გამოყენებას, შეიძლება დამტკიცდეს ამ ენაში. ასეთი თვისებების მქონე ენას ვუწოდებთ „სემანტიკურად ჩაკეტილს“.

(II) ვუშვებთ, რომ ამ ენაში მუშაობს ლოგიკის ჩვეულებრივი წესები.

(III) ვუშვებთ, რომ ჩვენს ენაში შეგვიძლია ისეთი ემპირიული წინამძღვრის ფორმულირება და მტკიცება, როგორცაა (2), რომელიც ფიგურირებდა ჩვენს მსჯელობაში.

აღმოჩნდა, რომ დაშვება (III) არ არის აუცილებელი, ვინაიდან შესაძლებელია მატყუარას პარადოქსის აგება მისი დახმარების გარეშე.<sup>11</sup> მაგრამ (I) და (II) დაშვებები მართლაც აუცილებელია. ვინაიდან ყოველი ენა, რომელიც აკმაყოფილებს ამ ორივე დაშვებას, არის წინააღმდეგობრივი, ჩვენ უნდა უარვყოთ სულ მცირე ერთ-ერთი მათგანი მაინც.

აქ ზედმეტიც იქნება იმის აღნიშვნა, თუ რა შედეგები მოჰყვება (II) დაშვების უარყოფას, ანუ ჩვენი ლოგიკის შეცვლას (დავუშვათ, რომ ეს შესაძლებელია) თუნდაც მის უფრო ელემენტარულ და ფუნდამენტურ ნაწილში. ამგვარად, განვიხილავთ მხოლოდ (I) დაშვების უარყოფის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე,

## LOGIC

არ გამოვიყენებთ არც ერთ ენას, რომელიც არის სემანტიკურად ჩაკეტილი (ზემოაღნიშნული გაგებით).

ეს შეზღუდვა, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნება მათთვის, ვისაც, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, სჯერა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი „ნამდვილი“ ენა (ან, უკიდურეს შემთხვევაში, ყველა „ნამდვილი“ ენა არის ურთიერთშესაბამისი). მიუხედავად ამისა, ეს შეზღუდვა არსებით გავლენას არ ახდენს მეცნიერების მოთხოვნებსა ან ინტერესებზე. ენები (ან ფორმალიზებული ენები, ან – რაც უფრო ხშირია – სალაპარაკო ენის გარკვეული ნაწილები), რომლებიც გამოიყენებიან მეცნიერულ დისკურსში, არ არის აუცილებელი იყვნენ სემანტიკურად ჩაკეტილები. ეს ნამდვილად ასეა იმ შემთხვევაში, თუ ლინგვისტური მოვლენები და, კერძოდ, სემანტიკური ცნებები არანაირად არ არის მოცემული მეცნიერების კვლევის საგანი; რადგან ამ შემთხვევაში ამ მეცნიერების ენას საერთოდ არ სჭირდება სემანტიკური ტერმინები. მაგრამ შემდეგ ნაწილში ვნახავთ, რომ სემანტიკურად ჩაკეტილი ენები სულაც არ არის აუცილებელი ისეთი მეცნიერული მსჯელობებისთვისაც კი, რომლებიც არსებითად სემანტიკურ ცნებებს ეხება.

საინტერესოა, როგორია ამ მხრივ ყოველდღიური სალაპარაკო ენის თვისებები. ერთი შეხედვით, ეს ენა აკმაყოფილებს ორივე – (I) და (II) დაშვებას და ის, მაშასადამე, წინააღმდეგობრივი უნდა იყოს. მაგრამ სინამდვილეში ეს შემთხვევა არ არის ასე მარტივი. ჩვენს ყოველდღიურ სალაპარაკო ენას, რა თქმა უნდა, არა აქვს წინასწარ ზუსტად განსაზღვრული სტრუქტურა. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რომელი გამონათქვამები არიან წინადადებები და კიდევ უფრო უფრო ცოტა რამ ვიცით იმის შესახებ, თუ რომელი წინადადებები უნდა განვიხილოთ დასაშვებ წინადადებებად. ამგვარად, ამ ენისთვის არანაწინააღმდეგობრიობის პრობლემა არაა მკაფიოდ გამოკვეთილი. საუკეთესო შემთხვევაში შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ენა, რომლის სტრუქტურაც წინასწარ ზუსტადაა განსაზღვრული და რომელიც მაქსიმალურად მოგვაგონებს ჩვენს ყოველდღიურ სალაპარაკო ენას, იქნება წინააღმდეგობრივი.

## 9. ობიექტი-ენა და მეტაენა

მას შემდეგ, რაც შევთანხმდით, არ გამოვიყენოთ სემანტიკურად ჩაკეტილი ენები, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ორი განსხვავებული ენა იმისთვის, რომ განვიხილოთ ჭეშმარიტების დეფინიციის პრობლემა და, უფრო ზოგადად, სემანტიკის სფეროს ნებისმიერი პრობლემა. ამ ენებიდან პირველი არის ის ენა, „რომელზეც არის ლაპარაკი“ და რომელიც არის მთელი მსჯელობის საგანი; ჭეშმარიტების განსაზღვრა, რომელსაც ვეძებთ, ამ ენის წინადადებებს ეხება. მეორე არის ენა, რომელზეც ჩვენ „ვლაპარაკობთ“ პირველი ენის შესახებ და რომლის ტერმინებშიც



გვსურს, კერძოდ, ჩამოვყალიბოთ ჭეშმარიტების განსაზღვრება პირველი ენისთვის. ჩვენ მოვიხსენიებთ პირველ ენას როგორც „ობიექტ-ენას“, და მეორეს – როგორც „მეტაენას“.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინებს – „ობიექტი-ენა“ და „მეტაენა“ მხოლოდ რელატიური მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, თუ ჩვენ გადავწყვეტთ ჭეშმარიტების ცნება გამოვიყენოთ არა ჩვენი თავდაპირველი ობიექტი-ენის წინადადებების, არამედ მისი მეტაენის წინადადებების მიმართ, ეს უკანასკნელი ავტომატურად გადაიქცევა ჩვენი მსჯელობის ობიექტ-ენად; და რომ განვსაზღვროთ ჭეშმარიტება ამ ენისათვის, ჩვენ უნდა მივმართოთ ახალ მეტაენას – ასე ვთქვათ, უფრო მაღალი დონის მეტაენას. ამ გზით ჩვენ მივიღებთ ენების მთელ იერარქიას.

მეტაენის ლექსიკონი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ზემოთ ჩამოყალიბებული პირობებით, რაც უზრუნველყოფს ჭეშმარიტების განსაზღვრების ფაქტობრივ ადეკვატურობას. ეს დეფინიცია, როგორც აღინიშნა, უნდა გულისხმობდეს (T) ფორმის ყველა ეკვივალენტობას:

(T) X არის ჭეშმარიტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა p.

თავად ეს განსაზღვრება და მისგან გამომდინარე ყველა ეკვივალენტობა ფორმულირებულ უნდა იქნეს მეტაენაში. მეორე მხრივ, ‘p’ სიმბოლო (T)-ში გამოხატავს ჩვენი ობიექტი-ენის ნებისმიერ წინადადებას. აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველი წინადადება, რომელიც გვხვდება ობიექტ-ენაში, ასევე უნდა იყოს მეტაენაში; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეტაენა უნდა მოიცავდეს ობიექტ-ენას როგორც თავის ნაწილს. ეს ყველა შემთხვევაში აუცილებელია განსაზღვრების ადეკვატურობის დამტკიცებისთვის – იმის მიუხედავად, რომ თავად განსაზღვრება შესაძლოა ზოგჯერ ფორმულირებულ იქნეს უფრო ნაკლებად სრულ მეტაენაზე, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.

(მოცემულმა მოთხოვნამ შეიძლება ნაწილობრივი ცვლილება განიცადოს, რადგან საკმარისია შესრულდეს პირობა, რომ ობიექტი-ენა ითარგმნებოდეს მეტაენაზე; ეს აუცილებლად გამოიწვევს (T)-ში ‘p’ სიმბოლოს რამდენადმე განსხვავებულ ინტერპრეტაციას. მომდევნო მსჯელობაში ჩვენ უგულებელყოფთ ასეთი მოდიფიკაციის შესაძლებლობას).

გარდა ამისა, ‘X’ სიმბოლო (T)-ში წარმოადგენს წინადადების სახელს, რომელსაც აღნიშნავს ‘p’. მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ მეტაენა უნდა იყოს საკმარისად მდიდარი, რათა მასში შესაძლებელი იყოს სახელის აგება ობიექტი-ენის ყველა წინადადებისთვის.

## LOGIC

ამასთან, ამკარაა, რომ მეტაენა უნდა შეიცავდეს ლოგიკური ხასიათის ზოგად ტერმინებს, როგორცაა, მაგალითად, გამონათქვამი „მაშინ და მხოლოდ მაშინ“.<sup>12</sup>

სასურველია, რომ მეტაენაში არ შედიოდეს არც ერთი განუსაზღვრელი ტერმინი, გარდა ისეთებისა, რომლებსაც ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად შეიცავს ზემოთ მოცემული შენიშვნები, ე.ი.: ობიექტი-ენის ტერმინები; ტერმინები, რომლებიც ეხება ობიექტი-ენის გამონათქვამების ფორმას და გამოიყენება ამ გამონათქვამების სახელების აგებაში და ლოგიკის ტერმინები. კერძოდ, ჩვენ მოვითხოვთ, რომ სემანტიკური ტერმინები (ობიექტი-ენის შესახებ) *წარმოდგენილი იქნენ მეტაენაში მხოლოდ განსაზღვრებით*. თუ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდება, ჭეშმარიტების ან სხვა ნებისმიერი სემანტიკური ცნების განსაზღვრა შეასრულებს იმ ფუნქციას, რასაც ჩვენ ინტუიციურად ველით ნებისმიერი განსაზღვრებისგან; ანუ, ის ახსნის ტერმინის მნიშვნელობას და განსაზღვრავს მას სრულიად ცხადი და ამკარა ტერმინების საშუალებით. და მეტიც, ასეთ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად დაზღვეულნი ვიქნებით იმისგან, რომ სემანტიკური ცნებების გამოყენება რაიმე წინააღმდეგობამდე მიგვიყვანს.

ჩვენ არ გვაქვს მეტი მოთხოვნა ობიექტი-ენისა და მეტაენის ფორმალური სტრუქტურებისადმი; ვფიქრობთ, ეს მოთხოვნები დღეისთვის ცნობილი სხვა ფორმალური ენებისთვის წაყენებული მოთხოვნების ანალოგიურია. კერძოდ, მეტაენაში უნდა შესრულდეს განსაზღვრის ჩვეულებრივი ფორმალური წესები.

## 10. პირობები ძირითადი პრობლემის დადებითად გადასაწყვეტად

ახლა ჩვენ უკვე ნათელი წარმოდგენა გვაქვს როგორც ფაქტობრივი ადეკვატურობის იმ პირობებზე, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ჭეშმარიტების განსაზღვრება, ისე იმ ენის ფორმალურ სტრუქტურაზე, სადაც ეს განსაზღვრება უნდა აიგოს. ასეთ ვითარებაში ჭეშმარიტების განსაზღვრება იძენს წმინდად დედუქციური ბუნების კონკრეტული პრობლემის ხასიათს.

მიუხედავად ამისა, ეს პრობლემა არ არის მარტივად გადასაჭრელი და ამას არც შევეცდები თანამედროვე ლოგიკის მთელი აპარატის გამოყენების გარეშე. მე აქ შემოვიფარგლები ამ პრობლემის გადაწყვეტის მხოლოდ ზოგადი მონახაზით და ვიმსჯელებ იმ საკითხებზე, რომლებიც უფრო ზოგადი ინტერესის სფეროს განეკუთვნებიან.

საკითხი შეიძლება გადაწყდეს როგორც დადებითად, ისე – უარყოფითად. ეს დამოკიდებულია ობიექტი-ენისა და მეტაენის ფორმალურ ურთიერთმიმართებაზე;

ან, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, იმაზე, არის თუ არა მეტაენა თავის ლოგიკურ ნაწილში „არსებითად უფრო მდიდარი“, ვიდრე ობიექტი-ენა. ეს არ არის ადვილი - ცნების „არსებითი სიმდიდრე“, ზოგადი და ზუსტი დეფინიციის ჩამოყალიბება. თუ ჩვენ შემოვიფარგლებით ენებით, რომლებიც ეფუძნება ლოგიკის ტიპთა თეორიას იყოს „არსებითად უფრო მდიდარი“, ვიდრე ობიექტი-ენა, მეტაენისთვის ეს უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ის უნდა მოიცავდეს უფრო მაღალი ლოგიკური ტიპის ცვლადებს, ვიდრე ობიექტი-ენა.

თუ „არსებითი სიმდიდრის“ პირობა არ იქნება დაკმაყოფილებული, როგორც წესი, შეიძლება ვაჩვენოთ, რომ შესაძლებელი იქნება მეტაენის ინტერპრეტაცია ობიექტი-ენაში; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეტაენის ნებისმიერ მოცემულ ტერმინს შესაძლებელია ისე შევუსაბამოთ ობიექტი-ენის გარკვეული, სავსებით განსაზღვრული ტერმინი, რომ ერთი ენის დასაშვები წინადადებები აღმოჩნდეს კორელაციაში მეორე ენის დასაშვებ წინადადებებთან. ამ ინტერპრეტაციის შედეგად ჰიპოთეზა, რომ მეტაენაში ფორმულირებულია ჭეშმარიტების დამაკმაყოფილებელი დეფინიცია, გულისხმობს ამ ენაში მატყუარას პარადოქსის აგების შესაძლებლობას და ეს, თავის მხრივ, გვაიძულებს უარყოთ მოცემული ჰიპოთეზა.

(ის ფაქტი, რომ თავის არალოგიკურ ნაწილში მეტაენა, ჩვეულებრივ, უფრო ფართოა, ვიდრე ობიექტი-ენა, გავლენას არ ახდენს ამ უკანასკნელში წინას ინტერპრეტაციის შესაძლებლობაზე. მაგალითად, მეტაენაში გვხვდება ობიექტი-ენის გამონათქვამთა სახელები, თუმცა, როგორც წესი, ისინი არ გვხვდება თავად ობიექტი-ენაში; მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ამ სახელების ინტერპრეტაცია ობიექტი-ენის ტერმინებში).

ამგვარად, ვხედავთ, რომ „არსებითი სიმდიდრის“ პირობა აუცილებელია იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს მეტაენაში ჭეშმარიტების დამაკმაყოფილებელი დეფინიცია. თუ გვსურს განვაფიქროთ ჭეშმარიტების თეორია ისეთ მეტაენაში, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ პირობას, ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ჭეშმარიტების დეფინიციაზე მხოლოდ და მხოლოდ იმ ტერმინების დახმარებით, რომლებზეც ზემოთ მივუთითეთ (მე-8 ნაწილში). მაშინ ჩვენ უნდა შევიტანოთ ტერმინი „ჭეშმარიტი“, ან ზოგი სხვა სემანტიკური ტერმინი, მეტაენის არაგანსაზღვრულ ტერმინთა სიაში და ჭეშმარიტების ცნების ძირითადი მახასიათებლები გამოვხატოთ აქსიომების საშუალებით. ასეთი აქსიომატური პროცედურა არ არის კატეგორიულად მიუღებელი და ის შეიძლება სასარგებლოც აღმოჩნდეს სხვადასხვა მიზნისთვის.<sup>13</sup>

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პროცედურა შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული. მეტაენის „არსებითი სიმდიდრის“ პირობა, როგორც აღმოჩნდა, არის არა მხოლოდ აუცილებელი, არამედ ასევე საკმარისი – ჭეშმარიტების დამაკმაყოფილებელი

განსაზღვრების აგებისათვის; ე.ი. თუ მეტაენა აკმაყოფილებს ამ პირობას, მასში შეიძლება განისაზღვროს ჭეშმარიტების ცნება. ჩვენ ახლა ვაჩვენებთ ზოგადად, როგორ შეიძლება ავაგოთ ეს განსაზღვრება.

### 11. განსაზღვრების აგება (მონახაზი)<sup>14</sup>

ჭეშმარიტების განსაზღვრება შეიძლება მივიღოთ ძალიან მარტივი გზით სხვა სემანტიკური ცნებიდან, სახელდობრ, დაკმაყოფილების ცნებიდან.

დაკმაყოფილება არის კავშირი ნებისმიერ ობიექტებსა და განსაზღვრულ გამონათქვამებს შორის, რომლებსაც ჰქვიათ „წინადადებათა ფუნქციები“. ეს ისეთი გამონათქვამებია, როგორიცაა, მაგალითად, „*x* არის თეთრი“, „*x* მეტია *y*-ზე“, და სხვ. მათი ფორმალური სტრუქტურა წინადადებების სტრუქტურის ანალოგიურია. თუმცა ისინი შეიძლება შეიცავდნენ ე.წ. თავისუფალ ცვლადებს (როგორც არის '*x*' და '*y*' გამონათქვამში „*x* მეტია *y*-ზე“), რომლებიც არ გვხვდება წინადადებაში.

ფორმალიზებულ ენებში წინადადებათა ფუნქციის ცნების განსაზღვრისას ჩვეულებრივ მივმართავთ ე.წ. „რეკურსიულ პროცედურას“, ე.ი. პირველად აღვწერთ უმარტივესი სტრუქტურის წინადადებათა ფუნქციებს (რაც, როგორც წესი, არ წარმოადგენს სიძნელეს) და შემდეგ შემოგვაქვს ოპერაციები, რომელთა მეშვეობითაც უმარტივესიდან შეიძლება აიგოს რთული ფუნქციები. ასეთი ოპერაცია შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, ორი მოცემული ფუნქციის ლოგიკური დიზიუნქციის ან კონიუნქციის ფორმირებით, ე.ი. მათი შეერთებით „*ა*“ ან „*და*“ სიტყვებით. ასეთ შემთხვევაში წინადადება შეიძლება განისაზღვროს მარტივად, როგორც წინადადებათა ფუნქცია, რომელიც არ შეიცავს თავისუფალ ცვლადებს.

რაც შეეხება დაკმაყოფილების ცნებას, ჩვენ შეიძლება ვცადოთ განვსაზღვროთ ის შემდეგნაირად: მოცემული ობიექტები აკმაყოფილებენ მოცემულ ფუნქციას, თუ უკანასკნელი გახდება ჭეშმარიტი წინადადება, როცა მასში თავისუფალ ცვლადებს ჩავანაცვლებთ მოცემული ობიექტების სახელებით. ამ აზრით, მაგალითად, *თოვლი* აკმაყოფილებს წინადადებათა ფუნქციას „*x* არის თეთრი“, რადგან წინადადება „*თოვლი* არის თეთრი“ არის ჭეშმარიტი. მაგრამ იმის გარდა, რომ არსებობს სხვა სიძნელეებიც, ეს მეთოდი ჩვენთვის იმიტომაც არის მიუღებელი, რომ დაკმაყოფილების ცნება გვსურს გამოვიყენოთ ჭეშმარიტების განსაზღვრისას.

დაკმაყოფილების განსაზღვრისთვის ჯობს კვლავ რეკურსიული პროცედურა გამოვიყენოთ. ჩვენ ვაჩვენებთ, თუ რომელი ობიექტები აკმაყოფილებენ წინადადებათა უმარტივეს ფუნქციებს; შემდეგ ვაყალიბებთ პირობებს, სადაც მოცე-

მული ობიექტები აკმაყოფილებენ შედგენილ, რთულ ფუნქციას – იგულისხმება, რომ ვიცით, რომელი ობიექტები აკმაყოფილებენ უფრო მარტივ ფუნქციებს, რომელთაგანაც აიგება რთული ფუნქციები. ამგვარად, მაგალითად, ვამბობთ, რომ მოცემული რიცხვები აკმაყოფილებენ ლოგიკურ დიზიუნქციას „*x* მეტია *y*-ზე ან *x* არის *y*-ის ტოლი“, თუ ისინი აკმაყოფილებენ ამ ორიდან ერთ ფუნქციას მაინც – „*x* მეტია *y*-ზე“ ან „*x* არის *y*-ის ტოლი“.

როცა დაკმაყოფილების ზოგადი განსაზღვრება მიღებულია, ჩვენ შევნიშნავთ, რომ ის ავტომატურად მიესადაგება წინადადებათა იმ ფუნქციებსაც, რომლებიც არ შეიცავენ თავისუფალ ცვლადებს, ე.ი. წინადადებებს. აქედან გამომდინარეობს, რომ წინადადებისთვის მხოლოდ ორი შემთხვევაა შესაძლებელი: წინადადებას ან ყველა ობიექტი აკმაყოფილებს, ან – არც ერთი. ამდენად, ჩვენ მარტივად მივიღებთ ჭეშმარიტებისა და მცდარობის განსაზღვრებას, თუ ვიტყვი, რომ *წინადადება არის ჭეშმარიტი, თუ მას აკმაყოფილებს ყველა ობიექტი და მცდარი – საპირისპირო შემთხვევაში*.<sup>15</sup>

(შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, რომ ავირჩიეთ წინადადების ჭეშმარიტების განსაზღვრის არაპირდაპირი გზა, ნაცვლად იმისა, რომ გვეცადა მიგვემართა, მაგალითად, პირდაპირი რეკურსიული პროცედურისთვის. ამის მიზეზი არის ის, რომ რთული წინადადებები აგებულია უფრო მარტივ წინადადებათა ფუნქციებისგან, მაგრამ არა ყოველთვის – უფრო მარტივი წინადადებებისგან; ამდენად, არ არის ცნობილი არც ერთი ზოგადი რეკურსიული მეთოდი, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა სპეციფიკურად წინადადებებისთვის).

ამ ზოგადი მონახაზიდან არ არის ცხადი, სად და როგორ არის ჩართული მსჯელობაში მეტაენის „არსებითი სიმდიდრის“ წინაპირობა; ეს ნათელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, განსაზღვრების მიღების გზა სრულად და ფორმალურად რომ აღგვეწერა.<sup>16</sup>

## 12. განსაზღვრის შედეგები

ჭეშმარიტების განსაზღვრას, რომელიც ზემოთ იყო მოცემული, აქვს ბევრი საინტერესო შედეგი.

პირველ რიგში, განსაზღვრება არის არა მხოლოდ ფორმალურად სწორი, არამედ ფაქტობრივად ადეკვატურიც (მე-4 ნაწილში წარმოდგენილი აზრით); სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის გულისხმობს (T) ფორმის ყველა ეკვივალენტობას. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ განსაზღვრების ფაქტობრივ ადეკვატურობას, ცალსახად ადგენენ ტერმინ „*ჭეშმარიტის*“ მოცულობას. ამიტომაც ჭეშმარიტების ყველა განსაზღვრება,

რომელიც არის ფაქტობრივად ადეკვატური, აუცილებლად იქნება რეალურად აგებული განსაზღვრების ეკვივალენტური. ჭეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ არჩევანი გავაკეთოთ ამ ცნების სხვადასხვა არაეკვივალენტურ დეფინიციებს შორის.

უფრო მეტიც, ჩვენი განსაზღვრებიდან შეგვიძლია გამოვიყვანოთ ზოგადი ხასიათის სხვადასხვა წესები. კერძოდ, მისი დახმარებით შეგვიძლია დავამტკიცოთ *წინააღმდეგობისა და მესამის გამორიცხვის კანონები*, რომლებიც ასე მნიშვნელოვანია ჭეშმარიტების არისტოტელესეული კონცეფციისათვის; ე.ი., შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ ორი წინააღმდეგობრივი წინადადებიდან ჭეშმარიტია ერთი და მხოლოდ ერთი. ეს სემანტიკური კანონები არ უნდა გავაიგივოთ წინააღმდეგობისა და მესამის გამორიცხვის ლოგიკურ წესებთან; ეს უკანასკნელი მიეკუთვნება წინადადებათა აღრიცხვას, ე.ი., ლოგიკის ყველაზე ელემენტარულ ნაწილს და საერთოდ არ შეიცავს ტერმინს „*ჭეშმარიტი*“.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შედეგები შეიძლება მივიღოთ, თუ ჭეშმარიტების თეორიას გამოვიყენებთ ფართო კლასის მათემატიკური დისციპლინების ფორმალიზებული ენებისთვის; ამ კლასიდან გამოირიცხება მხოლოდ ელემენტარული და უმარტივესი ლოგიკური სტრუქტურის დისციპლინები. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ კლასის დისციპლინისთვის *ჭეშმარიტების ცნება არასოდეს ემთხვევა მტკიცებადობის ცნებას*; რადგან ყველა მტკიცებადი წინადადება არის ჭეშმარიტი, მაგრამ არსებობს ისეთი ჭეშმარიტი წინადადებები, რომლებიც არ არიან მტკიცებადი.<sup>17</sup> ამდენად, ყველა ასეთი დისციპლინა არის არაწინააღმდეგობრივი, მაგრამ არასრული; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერი ორი წინააღმდეგობრივი წინადადებიდან, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ერთი მათგანი შეიძლება დამტკიცდეს და მეტიც, არსებობს წყვილი ურთიერთწინააღმდეგობრივი წინადადებებისა, რომელთაგან არც ერთი არ არის მტკიცებადი.<sup>18</sup>

### 13. შედეგების გავრცელება სხვა სემანტიკურ ცნებებზე

შედეგთა უმეტესობა, რომლებიც მივიღეთ ჭეშმარიტების ცნების განხილვისას, შესაბამისი ცვლილებებით შეიძლება გავრცელდეს სხვა სემანტიკურ ცნებებზეც, მაგალითად, დაკმაყოფილების ცნებაზე (რომელსაც შევეხეთ ჩვენს წინა მსჯელობაში), აგრეთვე, *აღნიშვნასა და განსაზღვრებაზე*.

ყოველი ეს ცნება შეიძლება გაანალიზდეს ჭეშმარიტების ანალიზის ანალოგიურად. ამგვარად, შეიძლება დადგინდეს ამ ცნებების ადეკვატური გამოყენების კრიტერიუმები; შეიძლება ვაჩვენოთ, რომ თითოეულს ამ ცნებათაგან, როცა ამ კრიტერიუმების თანახმად გამოიყენება სემანტიკურად ჩაკეტილ ენაში, აუცილებლად

მიყვარათ წინააღმდეგობამდე;<sup>19</sup> ამ შემთხვევაშიც აუცილებელი ხდება ობიექტი-ენისა და მეტაენის ერთმანეთისგან განსხვავება; აღმოჩნდება, რომ მეტაენის „არსებითი სიმდიდრე“ ორივე შემთხვევაში აუცილებელი და საკმარისი პირობაა აღნიშნული ცნების დამაკმაყოფილებელი განსაზღვრისთვის. ამდენად, ცალკეული სემანტიკური ცნების ანალიზით მიღებული შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ თეორიული სემანტიკის საფუძვლების ზოგადი პრობლემის გადასაჭრელად.

თეორიული სემანტიკის ფარგლებში შეგვიძლია განვსაზღვროთ და შევისწავლოთ ზოგიერთი სხვა ცნებაც, რომლის ინტუიციური შინაარსი უფრო ჩახლართულია, ხოლო სემანტიკური საფუძველი – ნაკლებად ცხადი; ვგულისხმობთ ისეთ მნიშვნელოვან ცნებებს, როგორცაა *შედეგი*, *სინონიმურობა* და *მნიშვნელობა*.<sup>20</sup>

ჩვენ აქ განვიხილეთ ინდივიდუალურ ობიექტ-ენასთან დაკავშირებული სემანტიკური ცნებების თეორია (თუმცა ჩვენს მსჯელობაში ამ ენის არც ერთ სპეციფიკურ თვისებას არ შევხებივართ). ჩვენ ასევე შეგვეძლო განგვეხილა ზოგადი სემანტიკის განვითარების პრობლემაც, რომელიც ეხება ობიექტი-ენების ამომწურავ კლასს. ჩვენ მიერ გაკეთებული წინა შენიშვნების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება განზოგადდეს ამ მიმართულებით; მაგრამ ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ახალი სიძნელებები, რომელსაც აქ არ განვიხილავთ. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ აქსიომატური მეთოდი (რომელიც მე-10 პარაგრაფში ვახსენეთ) ყველაზე უფრო შესაფერისი შეიძლება აღმოჩნდეს ამ პრობლემის გადასაჭრელად.<sup>21</sup>

## II. პოლემიკური შენიშვნები

### 14. არის თუ არა ჭეშმარიტების სემანტიკური ცნება „სწორი“?

ნაშრომის პოლემიკურ ნაწილს რამდენიმე ზოგადი შენიშვნით დავიწყებ.

იმედია, ჩემს მსჯელობას ისე არ გაიგებენ, თითქოს იმის თქმა მინდოდეს, რომ ჭეშმარიტების მოცემული სემანტიკური ცნება არის „სწორი“ ან „ერთადერთი შესაძლებელი“. სულაც არ ვაპირებ ჩავერთო დაუსრულებელ და გააფთრებულ კამათში იმის შესახებ, თუ „რა არის ჭეშმარიტების სწორი ცნება“?<sup>22</sup> უნდა ვაღიარო, საერთოდ არ მესმის, რაზეა აქ კამათი; თავად პრობლემა იმდენად ბუნდოვანია, რომ უბრალოდ შეუძლებელია მისი ცალსახად გადანყვეტა. ჩემთვის ბოლომდე ისიც არ არის გარკვეული, რა მნიშვნელობით ხმარობენ ფრაზას „სწორი ცნება“. უმრავლეს შემთხვევაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ფრაზა გამოიყენება თითქმის მის-

## LOGIC

ტიკური აზრით, რომელიც დაფუძნებულია რწმენაზე, რომ ყოველ სიტყვას აქვს მხოლოდ ერთი „ნამდვილი“ მნიშვნელობა (პლატონის ან არისტოტელეს იდეის მსგავსი) და რომ სინამდვილეში ყველა „კონკურენტი“ ცნება ამ ერთი მნიშვნელობის „დაჭერას“ ცდილობს; და რადგანაც ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ, მხოლოდ ერთი ცდა შეიძლება იყოს წარმატებული; ამდენად, მხოლოდ ერთი ცნება არის „სწორი“.

ამ ტიპის დისპუტები არავითარ შემთხვევაში არ შემოიფარგლება მარტო ჭეშმარიტების ცნებით. მათ აქვთ ადგილი ყველა სფეროში, სადაც – ზუსტი, მეცნიერული ტერმინოლოგიის ნაცვლად გამოიყენება ჩვეულებრივი ენა თავისი ბუნდოვანებითა და ორაზროვნებით; მათ არანაირი აზრი არა აქვთ და ვერც რაიმე შედეგს გამოიღებენ.

ვფიქრობ, რომ მსგავსი პრობლემებისადმი ერთადერთი რაციონალური მიდგომა ასეთი უნდა იყოს: ჩვენ უნდა შევურიგდეთ ფაქტს, რომ საქმე გვაქვს არა ერთ, არამედ რამდენიმე განსხვავებულ ცნებასთან, რომლებიც გამოხატულია ერთი სიტყვით; ეს ცნებები, რამდენადაც შესაძლებელია, ცხადი უნდა გავხადოთ (განსაზღვრის საშუალებით, აქსიომატური პროცედურით ან რაიმე სხვა გზით); გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა შევთანხმდეთ, რომ განსხვავებული ცნებებისთვის განსხვავებულ ტერმინებს გამოვიყენებთ; და შემდეგ უნდა შევუდგეთ შესაბამისი ცნებების მშვიდ და სისტემატურ შესწავლას, რათა გამოვავლინოთ მათი ძირითადი თვისებები და ურთიერთმიმართება.

რაც შეეხება საკუთრივ ჭეშმარიტების ცნებას, უდავო ფაქტია, რომ ფილოსოფიურ მსჯელობებში – და შესაძლოა ასევე ყოველდღიურ საუბრებშიც – ვხვდებით ამ ცნების ზოგიერთ ისეთ ჩანასახოვან ფორმებს, რომლებიც არსებითად განსხვავდება შესაბამისი კლასიკური ცნებისგან (რომელსაც ეკუთვნის მოცემული სემანტიკური ცნებაც, ოღონდ ის რამდენადმე მოდერნიზებულია). სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილებოდა ამ სახის სხვადასხვა კონცეფციები, მაგალითად, პრაგმატული კონცეფცია, კოჭერენტულობის თეორია და ა.შ.

ვფიქრობ, დღემდე არც ერთ მკვლევარს ასეთი ცნება არ ჩამოუყალიბებია გასაგები და არაორაზროვანი ფორმით. მაგრამ ეს შეიძლება გამოსწორდეს; შეიძლება ის დროც მოვიდეს, როცა გვექნება რამდენიმე ურთიერთშეუთავსებადი, მაგრამ ერთნაირად ცხადი და ზუსტი ჭეშმარიტების ცნება. მაშინ აუცილებელი გახდება უარი ვთქვათ სიტყვა „ჭეშმარიტის“ ორაზროვან ხმარებაზე და ამის ნაცვლად განსხვავებული ცნებების აღსანიშნად რამდენიმე ტერმინი შემოვიტანოთ. პირადად მე არ მენწყინება, თუ „ჭეშმარიტების თეორიეტკოსთა“ მომავალი მსოფლიო კონგრესი ხმების უმრავლესობით გადაწყვეტს სიტყვა „ჭეშმარიტი“ რომელიმე არაკლასი-



კური ცნებისთვის გამოიყენონ და აქ განხილული ცნებისთვის შემოგვთავაზოს სხვა სიტყვა, ვთქვათ, “frue”\*. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ დღეს ვინმემ შემოგვთავაზოს დამაჯერებელი არგუმენტები იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ სემანტიკური კონცეფცია არის „მცდარი“ და სრულიად უნდა იქნეს უარყოფილი.

## 15. ჭეშმარიტების წარმოდგენილი განსაზღვრების ფორმალური გამართულობა

ჩემი გამოკვლევების მიმართ გამოთქმული კონკრეტული შენიშვნები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად. ყოველ მათგანს ცალ-ცალკე განვიხილავთ.

ვფიქრობ, პრაქტიკულად ყველა ეს შენიშვნა ეხება არა უშუალოდ ჩემ მიერ შემოთავაზებულ განსაზღვრებას, არამედ ჭეშმარიტების სემანტიკურ ცნებას საზოგადოდ. ის შენიშვნებიც კი, რომლებიც ჩემი განსაზღვრების მიმართ გამოითქვა, შეიძლება გამოთქმულიყო ამ ცნების ნებისმიერ სხვა განსაზღვრების მიმართაც.

ეს განსაკუთრებით იმ შენიშვნებს ეხება, რომლებიც განსაზღვრების ფორმალურ სისწორეს უკავშირდება. მე მომისმენია ამ ტიპის რამდენიმე შენიშვნა, მაგრამ ძალიან ვეჭვობ, რომ რომელიმე მათგანი სერიოზულ განხილვას იმსახურებდეს.

ნება მომეცით ზოგადად მოგახსენოთ ამ შენიშვნების არსი.<sup>23</sup> განსაზღვრების ფორმულირებისას ჩვენ აუცილებლად ვიყენებთ წინადადებათა კავშირებს, ე.ი., გამონათქვამებს, როგორცაა „თუ...“, „მაშინ“, „ან“, და ა.შ. მათ ვხვდებით მსაზღვრელ გამონათქვამებში და ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, ფრაზა „*მაშინ და მხოლოდ მაშინ*“ ჩვეულებრივ გამოიყენება განსაზღვრავი გამონათქვამის დასაკავშირებლად მსაზღვრელთან. თუმცა კარგად არის ცნობილი, რომ წინადადებათა კავშირების მნიშვნელობა ლოგიკაში ახსნილია სიტყვების „*ჭეშმარიტი*“ და „*მცდარი*“ დახმარებით; მაგალითად, ვიტყვით, რომ ეკვივალენტობა, ე.ი., წინადადება ფორმისა „*p მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ q*“, არის ჭეშმარიტი თუ მისი ორივე წევრი, ე.ი., ‘*p*’-თი და ‘*q*’-თი წარმოდგენილი წინადადებები, არის ჭეშმარიტი ან ორივე არის მცდარი. ამდენად, ჭეშმარიტების განსაზღვრება შეიცავს მანკიერ წრეს.

თუ ეს სწორი შენიშვნაა, მაშინ საერთოდ შეუძლებელი იქნება ჭეშმარიტების ფორმალურად გამართული განსაზღვრება; რადგან წინადადებათა კავშირების ან სხვა, მათ საფუძველზე განსაზღვრული ლოგიკური ტერმინების გამოყენების გარეშე ვერ შევძლებთ ვერც ერთი რთული წინადადების ფორმულირებას. საბედნიეროდ, საქმე არც ასე ცუდადაა.

\* შდრ. “true” — “frue”.

## LOGIC

ექვეგარეშეა, ლოგიკაში მკაცრად დედუქციურ გამოყვანას ხშირად წინ უძღვის განსაზღვრული მტკიცებები, რომლებიც აყალიბებენ პირობებს, თუ რა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს წინადადებები „თუ  $p$ , მაშინ  $q$ “ და სხვ. ჭეშმარიტად ან მცდარად. (ასეთი განმარტებები ხშირად მოცემულია სქემების სახით, ე.წ. ჭეშმარიტების ცხრილების მეშვეობით). მაგრამ ეს მტკიცებები არ შედის ლოგიკის სისტემაში და არ უნდა მივიჩნიოთ მოცემული ტერმინების განსაზღვრებებად. მათი ფორმულირება არ ხდება სისტემის ენაში, ისინი გამომდინარეობენ მეტაენაში მოცემული ჭეშმარიტების განსაზღვრებიდან. უფრო მეტიც, ეს მტკიცებები არანაირ გავლენას არ ახდენენ დედუქციურ გამოყვანაზე ლოგიკაში, რადგან ასეთი გამოყვანისას ჩვენ არ განვიხილავთ საკითხს, არის თუ არა ჭეშმარიტი მოცემული წინადადება, ჩვენ მხოლოდ ის გვინტერესებს, დამტკიცებადია იგი თუ არა.<sup>24</sup>

მეორე მხრივ, როცა აღმოვჩნდებით ლოგიკის (ან სხვა ნებისმიერი დისციპლინის, რომელიც ეფუძნება ლოგიკას, მაგ., სემანტიკის) დედუქციურ სისტემაში, ჩვენ სემანტიკურ კავშირებს ან განუსაზღვრელ ტერმინებად განვიხილავთ, ან განსაზღვრავთ მათ სხვა წინადადებათა კავშირების მეშვეობით, მაგრამ არასოდეს – ისეთი სემანტიკური ტერმინების საშუალებით, როგორც არის „ჭეშმარიტი“ ან „მცდარი“. მაგალითად, თუ შევთანხმდებით, რომ გამონათქვამები „არა“ და „თუ... მაშინ“ (და შესაძლოა ასევე „მაშინ და მხოლოდ მაშინ“) განვიხილოთ როგორც განუსაზღვრელი ტერმინები, შეგვიძლია განვსაზღვროთ ტერმინი „ან“, თუ ვიტყვით, რომ „ $p$  ან  $q$ “ ფორმის წინადადება არის „თუ არა  $p$ , მაშინ  $q$ “ ფორმის შესაბამისი წინადადების ეკვივალენტური. ამ განსაზღვრებამ შეიძლება ასეთი ფორმაც მიიღოს:

( $p$  ან  $q$ ) მაშინ და მხოლოდ მაშინ (თუ არა  $p$ , მაშინ  $q$ ).

ამკარაა, რომ ეს განსაზღვრება არ შეიცავს არც ერთ სემანტიკურ ტერმინს.

მაგრამ მანკიერი წრე განსაზღვრებაში ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც განმსაზღვრელი ფრაზა ან თვით იმ ტერმინს შეიცავს, რომელიც უნდა განსაზღვროს, ან სხვა ტერმინებს, რომლებიც მისი საშუალებით განისაზღვრება. ამგვარად, ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ წინადადებათა კავშირების გამოყენება სემანტიკური ტერმინის „ჭეშმარიტი“ განსაზღვრისას არ წარმოქმნის მანკიერ წრეს.

მინდა შევჩერდე სხვა შენიშვნაზეც, რომელიც, როგორც ჩანს, თუ უშუალოდ არ ეხება ჭეშმარიტების მოცემული განსაზღვრების ფორმალურ სისწორეს, მაშინ იმ მსჯელობის ფორმალურ სისწორეს მაინც აყენებს ეჭვქვეშ, რომელსაც ამ განსაზღვრებამდე მივყავართ.<sup>25</sup>

ამ შენიშვნის ავტორი შეცდომით მიიჩნევს (T) სქემას (მე-4 ნაწილიდან) ჭეშმარიტების განსაზღვრებად. ამ განსაზღვრებას ის იმიტომ იწუნებს, რომ ის „დაუშვებლად მოკლეა, ე.ი. არასრულია“ და „გაუგებარია, რა იგულისხმება ‘ეკვივალენტობაში’ – ლოგიკურ-ფორმალური თუ არალოგიკური და სტრუქტურულად არააღწერადი მიმართება“. იმისათვის, რომ ჩამოაშოროს ეს „დეფექტი“, ის გვთავაზობს (T)-ს შევსებას ამ ორიდან ერთ-ერთი საშუალებით:

(T') X არის ჭეშმარიტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ p არის.

ან

(T'') X არის ჭეშმარიტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ ადგილი აქვს p-ს (ე.ი. თუ ადგილი აქვს იმას, რაც გამოთქმულია p-ში).

შემდეგ იგი განიხილავს ამ ორ ახალ „განსაზღვრებას“, რომელიც თითქოსდა თავისუფალია ძველი, ფორმალური „დეფექტისგან“, მაგრამ, როგორც დავინახავთ, არადაამაკმაყოფილებელია, არაფორმალური მიზეზების გამო.

ეს შენიშვნა, როგორც ჩანს, მომდინარეობს იმ გაუგებრობიდან, რომელიც წინადადებათა კავშირების ბუნებას ეხება (და ამიტომ მეტ-ნაკლებად უკავშირდება ზემოგანხილულ საკითხს). შენიშვნის ავტორი ალბათ ვერ აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ფრაზა „მაშინ და მხოლოდ მაშინ“ (ფრაზების – „არიან ეკვივალენტურნი“ ან „არის ეკვივალენტური“ – საპირისპიროდ) საერთოდ არ გამოხატავს კავშირს წინადადებებს შორის, რადგან ის ერთმანეთთან არ აკავშირებს წინადადებების სახელებს.

საზოგადოდ, მთელ მსჯელობას საფუძვლად უდევს წინადადებებისა და მათი სახელების აშკარა აღრევა. საკმარისია აღინიშნოს, რომ – (T)-სგან განსხვავებით – სქემები (T') და (T'') არ გვაძლევენ რაიმე მნიშვნელობის მქონე გამონათქვამს, თუ მათში 'p'-ს ჩავანაცვლებთ რაიმე წინადადებით; ფრაზებისთვის „p არის ჭეშმარიტი“ და „ადგილი აქვს p-ს“ (ე.ი. „ადგილი აქვს იმას, რაც გამოთქმულია p-ში“) გადაიქცევა უაზრობად, თუ 'p'-ს ჩავანაცვლებთ წინადადებით და არა წინადადების სახელით (იხ. ნაწილი 4).<sup>26</sup>

შენიშვნის ავტორის აზრით, (T) სქემა „დაუშვებლად მოკლეა“, მე კი (T') და (T'') სქემები „დაუშვებლად გრძელად“ მეჩვენება. მე იმასაც ვფიქრობ, რომ შემიძლია ეს მკაცრად დავამტკიცო შემდეგი განსაზღვრების საფუძველზე: გამონათქვამზე იტყვიან, რომ არის „მიუღებლად გრძელი“, თუ (i) ის არის უაზრო და (ii) ის მიღებულია მნიშვნელობის მქონე გამონათქვამიდან მასში ზედმეტი სიტყვების ჩამატებით.

## 16. სემანტიკური ტერმინების სიჭარბე – მათი შესაძლო გამორიცხვა

შენიშვნა, რომლის განხილვასაც ახლა ვაპირებ, აღარ შეეხება განსაზღვრების ფორმალურ სისწორეს, მაგრამ მაინც უკავშირდება ჭეშმარიტების სემანტიკური კონცეფციის გარკვეულ ფორმალურ მხარეს.

ჩვენ ვნახეთ, რომ ეს კონცეფცია არსებითად იმ გარემოებას ემყარება, რომ წინადადება „X არის ჭეშმარიტი“ მიიჩნევა 'X'-ით აღნიშნული წინადადების ეკვივალენტურად (სადაც 'X' აღნიშნავს ობიექტი-ენის წინადადების სახელს). მაშასადამე, ტერმინი „ჭეშმარიტი“, როდესაც გვხვდება „X არის ჭეშმარიტი“ ფორმის მარტივ წინადადებაში, შეიძლება საერთოდ ამოვიღოთ ამ ფრაზიდან, ხოლო თავად წინადადება, რომელიც ეკუთვნის მეტაენას, შეიძლება ჩანაცვლებულ იქნეს ობიექტი-ენის ეკვივალენტური წინადადებით; იგივე ეხება რთულ წინადადებებსაც იმ შემთხვევაში, თუ ტერმინი „ჭეშმარიტი“ მათში გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ როგორც „X არის ჭეშმარიტი“ ფორმის გამონათქვამის ნაწილი.

აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ტერმინი „ჭეშმარიტი“ როგორც სემანტიკური ერთეული ყოველთვის შეიძლება ამოღებულ იქნეს გამონათქვამიდან და ამიტომაც ჭეშმარიტების სემანტიკური ცნება სრულიად უნაყოფო და უსარგებლოა. რადგან მსგავსი მოსაზრებები სხვა სემანტიკურ ცნებებსაც მიესადაგება, ასკვნიან, რომ ზოგადად სემანტიკა წმინდა ვერბალური თამაშია და, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ უწყინარი ჰობი.

მაგრამ საქმე არც ასე მარტივადაა.<sup>27</sup> იმ ტიპის ელიმინაცია, რომელიც აქ განვიხილეთ, ყოველთვის ვერ განხორციელდება. ის არ შეიძლება შესრულდეს უნივერსალური გამონათქვამების შემთხვევაში, რომლებიც გამოხატავენ ფაქტს, რომ გარკვეული ტიპის ყველა წინადადება არის ჭეშმარიტი, ან რომ ყველა ჭეშმარიტ წინადადებას აქვს გარკვეული თვისება. მაგალითად, ჭეშმარიტების თეორიაში შეიძლება დავამტკიცოთ შემდეგი გამონათქვამი:

*ჭეშმარიტი წინადადებების ყველა შედეგი არის ჭეშმარიტი.*

მაგრამ ამ შემთხვევაში ასე ადვილად ვეღარ შევძლებთ სიტყვა „ჭეშმარიტის“ ამოღებას.

მეტიც, „X არის ჭეშმარიტი“ ფორმის გარკვეული წინადადებების შემთხვევებშიც კი ასეთი მარტივი ელიმინაცია ყოველთვის ვერ განხორციელდება. ფაქტიურად, ელიმინაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წინადადების სახელი, რომელიც მიჩნეულია ჭეშმარიტად, ისეთი ფორმით გვხვდება, რომ იძლევა თავად

ამ წინადადების რეკონსტრუქციის საშუალებას. მაგალითად, ჩვენი ამჟამინდელი ისტორიული ცოდნა არ გვაძლევს საშუალებას გამოვრიცხოთ სიტყვა „ჭეშმარიტი“ შემდეგი წინადადებიდან:

*პლატონის მიერ დაწერილი პირველი წინადადება არის ჭეშმარიტი.*

რასაკვირველია, რადგან გვაქვს ჭეშმარიტების განსაზღვრება და რადგან ნებისმიერი განსაზღვრება საშუალებას გვაძლევს ჩავანაცვლოთ საზღვრული მისი განმსაზღვრელი ფრაზით, თეორიულად ყოველთვის შესაძლებელია „ჭეშმარიტების“ როგორც სემანტიკური ტერმინის გამორიცხვა. მაგრამ ეს არ იქნება ზემოთ განხილული მარტივი ელიმინაცია და ის არ გულისხმობს მეტაენის წინადადების ობიექტი-ენის წინადადებით ჩანაცვლებას.

მაგრამ ვინმე თუ მაინც იტყვის, რომ ჭეშმარიტების ცნება არის სტერილური, რადგან სიტყვა „ჭეშმარიტის“ განსაზღვრების საფუძველზე თეორიულად შესაძლებელია მისი ელიმინაცია, ასეთ შემთხვევაში მან ისიც უნდა აღიაროს, რომ ყველა განსაზღვრული ცნება არის სტერილური. მაგრამ ასეთი დასკვნა იმდენად აბსურდულია და ისტორიულად იმდენად უსაფუძვლო, რომ არც კი ღირს მისი კომენტირება. მე იმათ აზრს უფრო ვიზიარებ, ვინც ამტკიცებს, რომ მეცნიერებაში უდიდეს აღმასვლას, როგორც წესი, თან სდევს ახალი ცნებების შემოტანა განსაზღვრებების საშუალებით.

## **17. ჭეშმარიტების სემანტიკური ცნების შესაბამისობა მის ფილოსოფიურ და ჩვეულებრივ გაგებასთან**

ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა ჭეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია მართლაც მივიჩნიოთ ამ ცნების ძველი, კლასიკური კონცეფციის ზუსტ ფორმად.

ნაშრომის დასაწყისში (ნაწილი 3) მოვიყვანეთ ამ კლასიკური ცნების სხვადასხვა ფორმულირებები. კვლავაც აღვნიშნავ, რომ ჩემი აზრით, არც ერთი მათგანი არ არის საკმარისად ზუსტი და ნათელი. ამდენად, საკითხის გადაჭრის ერთადერთი სარწმუნო გზა ის იქნებოდა, თუ ამ გამონათქვამთა ავტორებს ჩვენ ახალ ფორმულირებას წარვუდგენდი და ვკითხავდი, შეესაბამება თუ არა ის მათ ვარაუდს. სამწუხაროდ, ამ მეთოდს ვერ გამოვიყენებ, რადგან ისინი კარგა ხანია გარდაიცვალნენ.

პირადად მე ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი ფორმულირება შეესაბამება არისტოტელეს ფორმულის ინტუიციურ შინაარსს. იგივე არ შემოიძლია ვთქვა კლასიკური კონცეფციის გვიანდელ ფორმულირებების მიმართაც, რადგან ისინი მართლაც

ძალიან ბუნდოვანი არიან.<sup>28</sup>

ამის გარდა, გარკვეული ეჭვი გამოითქვა იმის თაობაზე, ასახავს თუ არა მოცემული სემანტიკური კონცეფცია ჭეშმარიტების ჩვეულ გაგებას. მე კარგად მესმის (როგორც ზემოთაც აღვნიშნე), რომ სიტყვა „ჭეშმარიტის“ ზოგადი მნიშვნელობა – როგორც სალაპარაკო ენის ნებისმიერი სხვა სიტყვისა – რამდენადმე ბუნდოვანია და მისი ხმარება არ არის ყოველთვის ერთმნიშვნელოვანი. პრობლემატურია ამ სიტყვის ფიქსირებული და ზუსტი მნიშვნელობის დადგენა და ამ საკითხის გადანწყვითისას აუცილებლად მოგვინევს მეტ-ნაკლებად დავცილდეთ ყოველდღიურ პრაქტიკაში მიღებულ მის მნიშვნელობას.

ყოველივე ამის მიუხედავად, მე მაინც მჯერა, რომ მოცემული სემანტიკური კონცეფცია მნიშვნელოვანწილად შეესაბამება ამ სიტყვის ზოგად მნიშვნელობას – თუმცა მზად ვარ ვაღიარო, რომ შეიძლება ვცდებოდეთ კიდევ. უფრო მეტიც, მჯერა, რომ ეს საკითხი შეიძლება გადანყდეს მეცნიერულად, თუმცა, რა თქმა უნდა, არა დედუქციური პროცედურის საშუალებით, არამედ სტატისტიკური გამოკითხვის მეთოდით. ფაქტიურად ასეთი კვლევა ახლაც გრძელდება და ზოგიერთი შედეგი აისახა სხვადასხვა მოხსენებაში, ნაწილი კი გამოქვეყნდა.<sup>29</sup>

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ასეთი გამოკვლევები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ტარდებოდეს. მაგალითად, თუ ჩვენ ვკითხავთ საშუალო სკოლის მოსწავლეს ან თუნდაც ზრდასრულ განათლებულ ადამიანს, რომელსაც არა აქვს სპეციალური ფილოსოფიური მომზადება, მიიჩნევს თუ არა ის წინადადებას ჭეშმარიტად, თუ ის შეესაბამება სინამდვილეს ან თუ გამოხატავს არსებულ ვითარებას, მან შეიძლება უბრალოდ ვერ გაიგოს ეს შეკითხვა; შესაბამისად, რა პასუხიც არ უნდა გაგვცეს, ჩვენთვის ამას არანაირი ღირებულება არ ექნება. მაგრამ მისი პასუხი შეკითხვაზე, ეთანხმება თუ არა, რომ წინადადება „თოვს“ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი იმ შემთხვევაშიც კი, როცა არ თოვს, ან შეიძლება იყოს მცდარი მაშინ, როცა თოვს, ბუნებრივია, ძალზე ფასეული იქნება ჩვენი პრობლემის გადაჭრისთვის.

ამიტომაც სულაც არ გამკვირვებია, როცა შევიტყვე (ამ პრობლემებისადმი მიძღვნილ დისკუსიაში), რომ გამოკითხულთაგან მხოლოდ 15% დაეთანხმა იმას, რომ „ჭეშმარიტი“ მათთვის ნიშნავს „სინამდვილესთან შესაბამისობას“, ხოლო 90%-მა განაცხადა, რომ წინადადება „თოვს“ არის ჭეშმარიტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც თოვს. მაშასადამე, ამ ხალხის უმრავლესობამ თითქოს უარყო ჭეშმარიტების კლასიკური ცნების „ფილოსოფიური“ ფორმულირება მაშინ, როდესაც მიიღო იგივე ცნება, როცა ის ფორმულირებული იყო ჩვეულებრივი სიტყვებით (აქ არ ვთვლით საჭიროდ იმის განხილვას, თუ ამ შემთხვევაში რამდენად გამართლებულია ფრაზის „იგივე ცნება“ გამოყენება).

## 18. მოცემული განსაზღვრების მიმართება „ჭეშმარიტების ფილოსოფიურ პრობლემასა“ და სხვადასხვა ეპისტემოლოგიურ ტენდენციებთან

გაგონილი მაქვს შენიშვნა, რომ ჭეშმარიტების ფორმალურ განსაზღვრებას არაფერი საერთო არა აქვს „ჭეშმარიტების ფილოსოფიურ პრობლემასთან“.<sup>30</sup> მაგრამ ჩემთვის არავის არასდროს არ განუმარტავს, საერთოდ რაში მდგომარეობს ეს პრობლემა. როგორც მითხრეს, ჩემი დეფინიცია, იმის მიუხედავად, რომ ის იძლევა აუცილებელ და საკმარის პირობებს იმისთვის, რომ წინადადება ჭეშმარიტად ჩაითვალოს, ფაქტიურად ვერ წვდება ამ ცნების „არსს“. რამდენადაც მე ვერ შევძელი გამეგო, თუ რა არის ცნების „არსი“, აღარც შევჩერდები ამ საკითხზე.

არა მგონია, საერთოდ არსებობდეს „ჭეშმარიტების ფილოსოფიური პრობლემა“. დარწმუნებული ვარ, რომ ჭეშმარიტების ცნებასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა საინტერესო (მაგრამ არა აუცილებლად ფილოსოფიური) პრობლემა, მაგრამ ვთვლი, რომ მათი ზუსტი ფორმულირება და გადანყვეტა შესაძლებელია ამ ცნების მხოლოდ მკაფიო კონცეფციის საფუძველზე.

მაშინ, როცა ჭეშმარიტების მოცემულ განსაზღვრებას, ერთი მხრივ, იმიტომ იწუნებენ, რომ ის არასაკმარისად ფილოსოფიურია; მეორე მხრივ, არაერთი შენიშვნა გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული განსაზღვრება სერიოზულ ფილოსოფიურ (და ყოველთვის არასასურველ) ქვეტექსტს გულისხმობს. ახლა განვიხილავ ამ ტიპის ერთ კონკრეტულ შენიშვნას; ამგვარი შენიშვნების მეორე ჯგუფზე შემდეგ პარაგრაფში შევჩერდებით.

გამოითქვა მოსაზრება, – იმ ფაქტის გამო, რომ წინადადება „თოვლი არის თეთრი“ მიჩნეულია სემანტიკურად ჭეშმარიტად, თუ თოვლი *მართლაც* თეთრია (კურსივი კრიტიკოსს ეკუთვნის) – ლოგიკა ყველაზე არაკრიტიკული რეალიზმის ტყვეობაში აღმოჩნდა.<sup>31</sup>

შესაძლებლობა რომ მქონოდა ამ შენიშვნაზე მის ავტორთან მემსჯელა, ორ საკითხზე გავამახვილებდი ყურადღებას. ჯერ ერთი, ვთხოვდი მას, რომ ამოეღო სიტყვა „მართლაც“, რომელიც არ გვხვდება თავდაპირველ ფორმულირებაში და რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს იმისდა მიუხედავად, რომ შესაძლოა არც კი ახდენდეს რაიმე გავლენას ფრაზის შინაარსზე. რადგან ეს სიტყვა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ჭეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია იმ პირობების ჩამოყალიბებას გულისხმობდეს, რომელიც რაიმეს განცხადების (კერძოდ, რომელიმე ემპირიული განცხადების) საშუალებას მოგვცემდა. მაგრამ თუ საკითხს მეტად ჩაუვლრმავდებით, ნათელი გახდება, რომ ეს მხოლოდ ილუზი-

## LOGIC

აა; და ვფიქრობ, შენიშვნის ავტორი თავის მიერვე შექმნილი ილუზიის მსხვერპლი ხდება.

ფაქტიურად, ჭეშმარიტების სემანტიკური განსაზღვრება არ გულისხმობს არაფერს იმ პირობების შესახებ, რომელიც (1)-ის მსგავსი წინადადების წარმოთქმის საშუალებას იძლევა:

(1) *თოვლი არის თეთრი*

ეს კონცეფცია მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ როცა ვიღებთ ან უარვყოფთ ამ წინადადებას, იმისთვისაც მზად უნდა ვიყოთ, რომ მივიღოთ ან უარვყოთ შესაბამისი წინადადება (2):

(2) *წინადადება „თოვლი არის თეთრი“ არის ჭეშმარიტი.*

მაშასადამე, შეგვიძლია მივიღოთ ჭეშმარიტების ეს სემანტიკური კონცეფცია ისე, რომ უარი არ ვთქვათ რაიმე ეპისტოლოგიურ პოზიციაზე (თუკი გვაქვს ასეთი). ჩვენ შეიძლება დავრჩეთ ისეთივე გულუბრყვილო რეალისტებად, კრიტიკულ რეალისტებად ან იდეალისტებად, ემპირიკოსებად ან მეტაფიზიკოსებად, როგორც მანამდე ვიყავით. სემანტიკური ცნება არის სრულიად ნეიტრალური ყველა ამ პოზიციის მიმართ.

მეორეც, შევეცდები მივიღო რაიმე ინფორმაცია ჭეშმარიტების ისეთ კონცეფციაზე, რომელიც (შენიშვნის ავტორის აზრით) არ მოაქცევდა ლოგიკას ყველაზე უფრო გულუბრყვილო რეალიზმის ტყვეობაში. მე დავასკვნიდი, რომ ასეთი კონცეფცია შეუთავსებადი უნდა იყოს სემანტიკურთან. მაშასადამე, უნდა არსებობდეს წინადადებები, რომლებიც არის ჭეშმარიტი ამ კონცეფციებიდან ერთ-ერთის ფარგლებში და არ არის ჭეშმარიტი მეორეში. დავუშვათ, რომ წინადადება (1) არის ამ ტიპის. ამ წინადადების ჭეშმარიტება სემანტიკურ კონცეფციაში განისაზღვრება (T) ფორმის ეკვივალენტობით:

*წინადადება „თოვლი არის თეთრი“ არის ჭეშმარიტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც თოვლი არის თეთრი.*

ამდენად, ახალ კონცეფციაში არ უნდა დავუშვათ ეს ეკვივალენტობა და, შესაბამისად, უნდა მივიღოთ მისი უარყოფა:

*წინადადება „თოვლი არის თეთრი“ არის ჭეშმარიტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც თოვლი არ არის თეთრი (ან: როდესაც თოვლი მართლაც არ არის თეთრი).*



ეს რამდენადმე პარადოქსულად უღერს. ამ ახალი კონცეფციის ასეთ შედეგს აბსურდად არ მივიჩნევ; მაგრამ ცოტა ვშიშობ, რომ ვინმემ ოდესმე შეიძლება განაცხადოს, რომ ეს კონცეფცია ლოგიკას „იგავთმიუნვდომელი ირეალიზმის“ ტყვეობაში აქცევს. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჭეშმარიტების ნებისმიერი ცნება, რომელიც შეუთავსებელია სემანტიკურთან, ამ ტიპის დასკვნებს გულისხმობს.

ამ საკითხს ამდენი დრო იმიტომ კი არ დავუთმე, რომ მოცემულ შენიშვნას მივიჩნევ ძალიან მნიშვნელოვნად, უბრალოდ ვთვლი, რომ ამ მსჯელობისას გამოთქმული ზოგიერთი თვალსაზრისი გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათ მიერ, ვინც, სხვადასხვა ეპისტემოლოგიური მოსაზრებების გამო, მზად არის უარყოს ჭეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია.

## 19. სემანტიკაში მეტაფიზიკური ელემენტების სავარაუდო არსებობა

ჭეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია რამდენჯერმე გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ის გარკვეულ მეტაფიზიკურ ელემენტებს შეიცავდა. ამგვარი შენიშვნები გამოითქმის არა მხოლოდ ჭეშმარიტების თეორიის, არამედ თეორიული სემანტიკის მთელი სფეროს მიმართ.<sup>32</sup>

მე არ ვაპირებ იმ ზოგად პრობლემაზე მსჯელობას, არის თუ არა მეცნიერებაში მეტაფიზიკური ელემენტის შემოტანა საერთოდ არასასურველი. ამ შემთხვევაში მე მხოლოდ ის მაინტერესებს, საერთოდ არის თუ არა და თუ არის, რა აზრითაა ჩართული მეტაფიზიკა ჩვენი მსჯელობის საგანში.

გააჩნია, როგორ გვესმის „მეტაფიზიკა“. სამწუხაროდ, ეს ცნება უკიდურესად ბუნდოვანი და ორაზროვანია. ზოგჯერ, როდესაც ამ საკითხზე ისმენ მსჯელობას, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ტერმინმა „მეტაფიზიკური“ დაკარგა ობიექტური მნიშვნელობა და ფილოსოფოსთა შორის უბრალო ბრალდების ფორმა მიიღო.

ზოგიერთისთვის მეტაფიზიკა არის ზოგადი თეორია ობიექტთა შესახებ (ონტოლოგია) – დისციპლინა, რომელიც უნდა განვითარდეს წმინდა ემპირიული გზით და რომელიც განსხვავდება სხვა ემპირიული მეცნიერებებისგან მხოლოდ განზოგადების დონით. არ ვიცი, საერთოდ არსებობს თუ არა ასეთი დისციპლინა (ზოგიერთი ცინიკოსი ამტკიცებს, რომ ფილოსოფიაში მიღებულია ჯერ არ დაბადებული ბავშვის მონათვლა); მაგრამ ვფიქრობ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ამგვარად გაგებული მეტაფიზიკის წინააღმდეგი არავინ არ უნდა იყოს და მას ძნელად თუ შეიძლება ჰქონდეს რამე კავშირი სემანტიკასთან.

## LOGIC

და მაინც, ყველაზე ხშირად ტერმინ „მეტაფიზიკურს“ იყენებენ როგორც „ემპირიული“ (ამა თუ იმ აზრით) საპირისპირო ცნებას; ყოველ შემთხვევაში, ამ მნიშვნელობით მას ისინი ხმარობენ, ვისაც იმის გაფიქრებაც კი ზარავთ, რომ მეცნიერებაში შეეძლო შეეღწია რაიმე მეტაფიზიკურ ელემენტს. მეტაფიზიკის ეს ზოგადი ცნება რამდენიმე უფრო სპეციფიკურ ფორმას მოიცავს.

ამგვარად, როცა რომელიმე მეცნიერების კვლევის მეთოდი არც დედუქციურია და არც ემპირიული, ზოგიერთი ამას ამ მეცნიერების მეტაფიზიკურობის სიმპტომად მიიჩნევს. მაგრამ ამ სიმპტომის არანაირი კვალი არ შეინიშნება სემანტიკის განვითარებაში (თუ ზოგიერთ მეტაფიზიკურ ელემენტს არ შეიცავს ობიექტი-ენა, რომლის მიმართაც გამოიყენება სემანტიკური ცნებები). კერძოდ, ფორმალისტული ენების სემანტიკა აგებულია წმინდა დედუქციური გზით.

სხვები აღნიშნავენ, რომ მეცნიერების მეტაფიზიკური ხასიათი დამოკიდებულია უმთავრესად მის ლექსიკონზე და განსაკუთრებით მის ამოსავალ ტერმინებზე. ამგვარად, ვიტყვით, რომ ტერმინი არის მეტაფიზიკური, თუ ის არც ლოგიკურია, არც მათემატიკური და თუ ის არ უკავშირდება ისეთ ემპირიულ პროცედურას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გადაგვეწყვიტა, აღნიშნავს თუ არა ეს ტერმინი რომელიმე საგანს. გამომდინარე მეტაფიზიკის ასეთი კონცეფციიდან, საკმარისია გავიხსენოთ, რომ მეტაენა შეიცავს მხოლოდ სამი სახის განუსაზღვრელ ტერმინს: (i) ლოგიკიდან აღებულ ტერმინებს, (ii) შესაბამისი ობიექტი-ენის ტერმინებს და (iii) ობიექტი-ენის გამონათქვამთა სახელებს. ამგვარად, ცხადია, რომ მეტაენაში არ გვხვდება არავითარი მეტაფიზიკური განუსაზღვრელი ტერმინი (თუ ასეთი ტერმინები არ გვხვდება თვით ობიექტ-ენაში).

მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ მაშინაც კი, თუ არც ერთი მეტაფიზიკური ტერმინი არ აღმოჩნდება ენის ამოსავალ ტერმინებს შორის, შეიძლება მათი შემოტანა განსაზღვრებების საშუალებით; სახელდობრ, იმ განსაზღვრებების საშუალებით, რომლებშიც არაა მოცემული ის ზოგადი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შევძლებთ გადავწყვიტოთ, შედის თუ არა ესა თუ ის ობიექტი ამ განსაზღვრულ ცნებაში. როგორც ამტკიცებენ, სწორედ ასეთი ტიპისაა ტერმინი „ჭეშმარიტი“, რადგანაც ჭეშმარიტების არც ერთი უნივერსალური კრიტერიუმი არ მომდინარეობს უშუალოდ ამ ტერმინის განსაზღვრებიდან და რადგანაც ზოგადად ითვლება (და გარკვეული აზრით შეიძლება დამტკიცდეს კიდევც), რომ ვერასდროს ვერ მოხერხდება ასეთი კრიტერიუმის პოვნა. როგორც ჩანს, ჭეშმარიტების ცნებასთან მიმართებით, ეს მართლაც ასეა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჭეშმარიტების ცნება ამ მხრივ არ განსხვავდება ლოგიკის, მათემატიკის და სხვადასხვა ემპირიული მეცნიერების თეორიული ნაწილის, მაგ., თეორიული ფიზიკის მრავალი ცნებისაგან.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ თუ ტერმინი „მეტაფიზიკური“ გამოიყენება ისეთი ფართო გაგებით, რომ მოიცავს ლოგიკის, მათემატიკის, ან ემპირიულ მეცნიერებათა განსაზღვრულ ცნებებს (ან მეთოდებს), ის მით უფრო შეიძლება იქნეს გამოყენებული სემანტიკის მიმართ. ფაქტიურად, როგორც ვიცით ამ ნაშრომის პირველი ნაწილიდან, ენის სემანტიკის შემუშავებისას ვიყენებთ ამ ენის ყველა ცნებას და მივმართავთ იმაზე უფრო ძლიერ ლოგიკურ აპარატსაც, ვიდრე თავად ამ ენაშია გამოყენებული. მეორე მხრივ კი, ზემოთ მოყვანილი არგუმენტების საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ (ტერმინის „მეტაფიზიკური“ ნებისმიერი ჩემთვის ცნობილი და მეტ-ნაკლებად გასაგები ინტერპრეტაციით) სემანტიკა არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ მეტაფიზიკურ ელემენტს.

შენიშვნების ამ ჯგუფთან დაკავშირებით მსურს გავაკეთო ბოლო კომენტარი. როგორც მეცნიერების ისტორია მოწმობს, არაერთი ცნება, ვიდრე მისი მნიშვნელობის ზუსტი განსაზღვრა მოხდებოდა, მიიჩნეოდა მეტაფიზიკურად (ამ სიტყვის ფართო გაგებით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში – დამაკნინებელი მნიშვნელობით); თუმცა, როდესაც მათ მიიღეს ზუსტი, ფორმალური განსაზღვრება, მათში აღარავის შეჰპარვია ეჭვი. ტიპიურ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ უარყოფით და წარმოსახვით რიცხვთა ცნებები მათემატიკაში. ვიმედოვნებ, მსგავსი ბედი ელის ჭეშმარიტების ცნებასა და სხვა სემანტიკურ ცნებებს; ამიტომ ვფიქრობ, ისინი, ვინც ეჭვის თვალთ უყურებდა მათ იმის გამო, რომ ისინი თითქოსდა შეიცავდნენ მეტაფიზიკურ ელემენტებს, უნდა მიესალმონ იმ ფაქტს, რომ ახლა არსებობს ამ ცნებების ზუსტი განსაზღვრებები. თუ ამის შედეგად სემანტიკური ცნებების მიმართ გაქრება ფილოსოფიური ინტერესი, ისინი მხოლოდ გაინანილებენ მრავალი სხვა მეცნიერული ცნების ბედს და ამაზე არც ღირს ნუხილი.

## 20. სემანტიკის მნიშვნელობა ემპირიული მეცნიერებებისთვის

ჩვენ მივედით შენიშვნების ბოლო, და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფთან. არაერთი სერიოზული ეჭვი გამოითქვა იმის თაობაზე, გამოიყენება თუ არა და, საერთოდ, შეიძლება თუ არა გამოიყენებოდეს სემანტიკური ცნებები მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. უმეტესწილად ასეთი ეჭვი შეეხებოდა სემანტიკის გამოყენებას ემპირიული მეცნიერების სფეროში – როგორც მის ცალკეულ დარგებში, ასევე ზოგადად, ამ სფეროს მეთოდოლოგიაში; თუმცა მსგავსი სკეპტიციზმი გამოითქმებოდა სემანტიკის შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით მათემატიკურ მეცნიერებებსა და მათ მეთოდოლოგიაშიც.

ვფიქრობ, შესაძლებელია რამდენადმე გაქარწყლდეს ეს ეჭვები და საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული ის ოპტიმიზმი, რომელიც უკავშირდება სემანტიკის პო-

## LOGIC

ტენციურ ღირებულებას მეცნიერების სხვადასხვა სფეროსთვის.

ასეთი ოპტიმიზმის გასამართლებლად ალბათ საკმარისია ყურადღება გავამახვილოთ ორ საკითხზე. ჯერ ერთი, თეორია, რომელიც გვაძლევს ცნების ზუსტ განსაზღვრებას და აყალიბებს მის ზოგად თვისებებს, იმთავითვე უქმნის უფრო მტკიცე საფუძველს ყველა იმ მსჯელობას, რომელშიც ჩართულია ეს ცნება. ამდენად, ის ღირებული უნდა იყოს ყველასთვის, ვინც კი იყენებს ამ ცნებას და სურს ამ ცნების გამოყენება გაცნობიერებულად და თანმიმდევრულად. მეორეც, სემანტიკურ ცნებებს ნამდვილად შეიცავს მეცნიერების სხვადასხვა დარგი, კერძოდ, ემპირიული მეცნიერებები.

ის ფაქტი, რომ ემპირიულ გამოკვლევებში საქმე გვაქვს მხოლოდ ბუნებრივ ენებთან და რომ თეორიული სემანტიკა ამ ენების მიმართ მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება იქნეს გამოყენებული, არსებითად არ ცვლის საქმის ვითარებას. თუმცა ის კი ცხადია, რომ სემანტიკის მიღწევები ამ სფეროზე დაგვიანებით და რამდენადმე შეზღუდულად აისახება. არსებითად ანალოგიური სიტუაცია იქმნება მაშინაც, როცა ლოგიკის კანონებს ვიყენებთ ყოველდღიურ მსჯელობაში – ან, ზოგადად, როცა ვცდილობთ გამოვიყენოთ თეორიული მეცნიერება ემპირიული პრობლემების გადანყვეტისას.

ეჭვგარეშეა, რომ სემანტიკურ ცნებებს მეტ-ნაკლებად ვხვდებით ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში და პრაქტიკულად ყველა ჰუმანიტარულ დარგში. ასე, მაგალითად, ადამიანის ე.წ. გონებრივი განვითარების კოეფიციენტს ფსიქოლოგი განსაზღვრავს გარკვეულ კითხვებზე გაცემული *ჭეშმარიტი* (სწორი) და *მცდარი* (არასწორი) პასუხების რაოდენობის მიხედვით. კულტურის ისტორიკოსისთვის შესაძლოა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდეს იმ ობიექტთა ჩამონათვალს, რომლისთვისაც კაცობრიობას თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ჰქონდა ადეკვატური *აღნიშვნები*; სტუდენტი, რომელიც სწავლობს ლიტერატურას, შეიძლება ძალიან დაინტერესდეს იმით, იყენებს თუ არა კონკრეტული ავტორი ორ მოცემულ სიტყვას ყოველთვის ერთი და იმავე *მნიშვნელობით*. უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს ამ ტიპის მაგალითების ჩამოთვლა.

ცხადია, თეორიული სემანტიკის გამოყენებისთვის ყველაზე ბუნებრივი და იმედისმომცემი სფერო არის ლინგვისტიკა – დარგი, რომელიც ემპირიულად იკვლევს ბუნებრივ ენებს. ამ მეცნიერების გარკვეული შტოები „სემანტიკადაც“ კი მოიხსენიება (ზოგჯერ დამატებითი დაზუსტებით). ამ სახელით ზოგჯერ აღნიშნავენ გრამატიკის იმ ნაწილს, რომელიც ცდილობს მოახდინოს ენის ყველა სიტყვის კლასიფიკაცია მეტყველების ნაწილებად, იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვთ ან რას აღნიშნავენ ეს სიტყვები. დისციპლინას, რომელიც შეისწავლის მნიშ-

ვნელობების ევოლუციას ენის ისტორიული განვითარების გზაზე, ზოგჯერ „ისტორიულ სემანტიკას“ უწოდებენ. ზოგადად, ბუნებრივ ენაში არსებულ სემანტიკურ კავშირებს შეისწავლის „დესკრიფციული სემანტიკა“. თეორიული სემანტიკისა და დესკრიფციული სემანტიკის ურთიერთმიმართება წმინდა მათემატიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ურთიერთმიმართების ანალოგიურია, ან, შესაძლოა, ეს მიმართება ისეთივე იყოს, როგორცაა თეორიულ და ემპირიულ ფიზიკას შორის; ფორმალური ენები დაახლოებით ისეთივე ფუნქციას ასრულებენ სემანტიკაში, როგორსაც იზოლირებული სისტემები – ფიზიკაში.

ალბათ, ზედმეტიცაა იმის აღნიშვნა, რომ სემანტიკა უშუალოდ არ გამოიყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მაგ., ფიზიკაში, ბიოლოგიაში, და ა.შ.; რადგან არც ერთი ეს მეცნიერება არ ეხება ლინგვისტურ მოვლენებს და მით უმეტეს – სემანტიკურ მიმართებებს ლინგვისტურ გამონათქვამებსა და იმ ობიექტებს შორის, რომელთაც აღნიშნავენ ეს გამონათქვამები. მიუხედავად ამისა, როგორც შემდეგ პარაგრაფში ვნახავთ, სემანტიკას შეიძლება ჰქონდეს არაპირდაპირი გავლენა იმ მეცნიერებებზეც კი, რომლებიც უშუალოდ არ მოიცავენ სემანტიკურ ცნებებს.

## 21. სემანტიკის გამოყენება ემპირიული მეცნიერების მეთოდოლოგიაში

ლინგვისტიკის გარდა, სემანტიკის შესაძლო გამოყენების მეორე მნიშვნელოვანი სფერო არის მეცნიერების მეთოდოლოგია; ამ ტერმინს აქ ფართო მნიშვნელობით ვიყენებთ და ის ზოგადად მეცნიერების თეორიას მოიცავს. იმისდა მიუხედავად, განვიხილავთ მეცნიერებას როგორც მხოლოდ მტკიცებათა სისტემას თუ როგორც განსაზღვრული მტკიცებებისა და ადამიანის ქმედებების მთლიანობას, სამეცნიერო ენის შესწავლა შეადგენს მეცნიერების მეთოდოლოგიურ მხარეზე მსჯელობის განუყოფელ ნაწილს. ჩემთვის ნათელია, რომ თუკი ამ მსჯელობიდან გამოვრიცხავთ სემანტიკის ცნებებს (როგორცაა ჭეშმარიტების და აღნიშვნის ცნებები) ის არასრული და არაადეკვატური იქნება.<sup>33</sup> უფრო მეტიც, დღესდღეობით, რაკი გადაიჭრა სემანტიკური ტერმინების გამოყენების უმთავრესი პრობლემები, ამის არანაირი საფუძველი აღარ არსებობს. სამეცნიერო ენის სემანტიკა უბრალოდ უნდა იქცეს მეცნიერების მეთოდოლოგიის შემადგენელ ნაწილად.

მე არავითარ შემთხვევაში არ ვცდილობ დავაკისრო მეთოდოლოგიას და, კერძოდ, სემანტიკას – გინდ თეორიულს, გინდ დესკრიფციულს – ყველა მეცნიერული ტერმინის მნიშვნელობის განმარტების ფუნქცია. ეს ამოცანა იმ მეცნიერებათა გადასაწყვეტია, რომლებიც იყენებენ ამ ტერმინებს; რეალურად ისინი ასრულებენ კიდევ ამ ფუნქციას (ისევე, როგორც ტერმინის „*ჭეშმარიტი*“ მნიშვნელობის განმარტება სემანტიკას მიახლოებს და მანაც შეასრულა ეს ამოცანა). თუმცა შეი-

## LOGIC

ძლება არსებობდეს გარკვეული სახის პრობლემები, რომელთა გადასაჭრელად მეთოდოლოგიური მიდგომა სასურველი ან იქნებ აუცილებელიც კია (მიზეზობრიობის ცნების პრობლემა ალბათ ამის თვალსაჩინო მაგალითია); და ასეთი პრობლემების მეთოდოლოგიურ განხილვაში სემანტიკურმა ცნებებმა შეიძლება არსებითი როლი შეასრულონ. ამდენად, სემანტიკა მეტ-ნაკლებად ნებისმიერ მეცნიერებას ეხება.

ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა სემანტიკა დაგვეხმაროს მეთოდოლოგიის ზოგადი და, ასე ვთქვათ, კლასიკური პრობლემების გადაჭრაში. აქ მინდა უფრო დეტალურად განვიხილო ამ საკითხის ერთი სპეციფიკური, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი.

ემპირიული მეცნიერების მეთოდოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა იმ პირობების ჩამოყალიბებაა, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც ემპირიული თეორია ან ჰიპოთეზა მისაღებად უნდა ჩაითვალოს. „მიღებადობის“ ეს ცნება უნდა დაუკავშირდეს მეცნიერების განვითარების მოცემულ საფეხურს (ან მანამდე დაგროვებულ ცოდნას). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ცნებაში დროის კოეფიციენტიც უნდა ვიგულისხმოთ; რადგანაც თეორია, რომელიც დღეს მისაღებია, ახალი მეცნიერული აღმოჩენების შედეგად ხვალ შეიძლება მიუღებლად იქცეს.

იმთავითვე ძალზე სარწმუნოდ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ის, თუ რამდენად მისაღებია თეორია, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჭეშმარიტია მისი წინადადებები და რომ მეთოდისტიკის, რომელიც ცდილობს (დღემდე – ალბათ უფრო წარუმატებლად) ზუსტად განსაზღვროს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს ესა თუ ის ჰიპოთეზა, სასარგებლო უნდა იყოს ჭეშმარიტების სემანტიკური თეორია. აქედან გამომდინარე, ვსვამთ შეკითხვას, არსებობს თუ არა ისეთი პოსტულატები, რომლებსაც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს მისაღები თეორია და რომელიც მოიცავს ჭეშმარიტების ცნებას? კერძოდ, ვსვამთ კითხვას – არის თუ არა საფუძვლიანი შემდეგი პოსტულატი?

*მისაღები თეორია არ შეიძლება შეიცავდეს (ან გულისხმობდეს) მცდარ წინადადებას.*

პასუხი ამ კითხვაზე ცალსახად უარყოფითია. რადგან, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე ფაქტიურად დარწმუნებულნი ვართ, რომ დღეისთვის მისაღები ნებისმიერი ემპირიული თეორია ადრე თუ გვიან უარყოფილი იქნება და ადგილს დაუთმობს სხვა თეორიას. ასევე, სავსებით შესაძლებელია, რომ ახალი თეორია შეუთავსებელი იყოს ძველთან, ე.ი. შეიცავდეს ისეთ წინადადებას, რომელიც ეწინააღმდეგება ძველი თეორიის რომელიმე წინა-

დადებას. აქედან გამომდინარე, ამ ორი თეორიიდან ერთ-ერთი მაინც უნდა შეიცავდეს მცდარ წინადადებებს – იმის მიუხედავად, რომ ყოველი მათგანი თავის დროს მისაღებად მიიჩნიეს. მეორე მხრივ, მოცემული პოსტულატი პრაქტიკულად ალბათ ვერასდროს ვერ შესრულდება; რადგან ჩვენ არ ვიცით და ალბათ ვერც ვერასდროს ვიპოვით ჭეშმარიტების ისეთ კრიტერიუმს, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა გვეჩვენებინა, რომ ემპირიული თეორიის არც ერთი წინადადება არ არის მცდარი.

მოცემული პოსტულატი, საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება განვიხილოთ როგორც იდეალური ზღვარი სულ უფრო ადეკვატური თეორიებისთვის კვლევის მოცემულ სფეროში; მაგრამ მას ძნელად შეიძლება მივცეთ რაიმე ზუსტი მნიშვნელობა.

ამის მიუხედავად, ვფიქრობ, არსებობს ერთი მნიშვნელოვანი პოსტულატი, რომელსაც ალბათ უნდა აკმაყოფილებდეს მისაღები ემპირიული თეორია და რომელიც შეიცავს ჭეშმარიტების ცნებას. ის უშუალოდ უკავშირდება ახლახან განხილულ პირობას, მაგრამ არსებითად უფრო სუსტია. თუ გავიხსენებთ, რომ ის, თუ რამდენად მისაღებია თეორია, უკავშირდება დროის კოეფიციენტს, ამ პოსტულატს შეიძლება მივცეთ შემდეგი ფორმა:

*როგორც კი შევძლებთ ვაჩვენოთ, რომ ემპირიული თეორია შეიცავს (ან გულისხმობს) მცდარ წინადადებებს, ის აღარ შეიძლება მივიჩნიოთ მისაღებად.*

ამ პოსტულატის მხარდასაჭერად მინდა რამდენიმე შევნიშვნა შემოგთავაზოთ.

ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს ემპირიული თეორიის უარყოფამდე, არის მისი წინააღმდეგობრიობის დამტკიცება: თეორია ხდება გამოუსადეგარი, თუ შევძლებთ მივილოთ მისგან ორი ურთიერთსაწინააღმდეგო წინადადება. ახლა შეგვიძლია დავსვათ კითხვა, თუ რა არის ამ მიზეზით თეორიის უარყოფის საფუძველი. ის, ვინც იცნობს თანამედროვე ლოგიკას, როგორც წესი, ასე უპასუხებს ამ შეკითხვას: კარგად ცნობილი ლოგიკური კანონის თანახმად, თეორია, რომლისგანაც შეიძლება მივილოთ ორი ურთიერთგამომრიცხველი წინადადება, იმავდროულად საშუალებას იძლევა მივილოთ ნებისმიერი წინადადება; ამდენად, ასეთი თეორია არის ტრივიალური და არანაირი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია.

საეჭვოა, ეს პასუხი მოცემული სიტუაციის ადეკვატური ანალიზის შედეგი იყოს. ვფიქრობ, რომ იმისთვის, ვინც არ იცის თანამედროვე ლოგიკა, ისევე მიუღებელი იქნება წინააღმდეგობრივი თეორია, როგორც მისთვის, ვინც საფუძვლიანად იც-

## LOGIC

ნობს ამ დისციპლინას; ალბათ, ეს ეხება მათაც კი, ვისთვისაც ლოგიკის ის კანონი, რომელსაც ეფუძნება ხსენებული მსჯელობა, ძალზე საკამათო და პარადოქსულიც კია (ასეთებს დღესაც შეხვდებით). არა მგონია, ჩვენი დამოკიდებულება წინააღმდეგობრივი თეორიის მიმართ შეიცვალოს მაშინაც კი, თუ ჩვენ რაიმე მიზეზით გადავწყვეტთ დავასუსტოთ ჩვენი ლოგიკის სისტემა ისე, რომ აღარ შეიძლებოდეს რომელიმე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო წინადადებიდან ნებისმიერი წინადადების მიღება.

ვფიქრობ, ამ საკითხისადმი ჩვენს დამოკიდებულებას სულ სხვა მიზეზი უდევს საფუძვლად: ჩვენ ვიცით (ინტუიციურად მაინც), რომ წინააღმდეგობრივი თეორია უნდა შეიცავდეს მცდარ წინადადებებს და ჩვენ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად განვიხილოთ როგორც მისაღები ნებისმიერი თეორია, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, შეიცავს ასეთ წინადადებებს.

უამრავი მეთოდი არსებობს იმის საჩვენებლად, რომ მოცემული თეორია მცდარ წინადადებებს შეიცავს. ზოგიერთი მათგანი ემყარება მოცემული თეორიის წმინდა ლოგიკურ თვისებებს; ახლახანს განხილული მეთოდი (ე.ი. წინააღმდეგობრიობის დამტკიცება) არ არის ამ ტიპის ერთადერთი მეთოდი, მაგრამ ყველაზე მარტივია და მას ყველაზე ხშირად იყენებენ. გარკვეული წინასწარი დაშვებების საშუალებით, რომლებიც ეხება ემპირიული წინადადებების ჭეშმარიტებას, შეგვიძლია მივიღოთ იმავე შედეგის მომტანი მეთოდები, ოღონდ ისინი აღარ იქნებიან წმინდა ლოგიკური ბუნებისა. თუ ჩვენ გადავწყვეტთ გავიზიაროთ ზემოთ შემოთავაზებული ზოგადი პოსტულატი, მაშინ ნებისმიერი ასეთი მეთოდის წარმატებული გამოყენება თეორიას მიუღებლად აქცევს.

## 22. სემანტიკის გამოყენება დედუქციურ მეცნიერებაში

რაც შეეხება სემანტიკის გამოყენებას მათემატიკურ მეცნიერებებსა და მათ მეთოდოლოგიაში, ე.ი., მეტამათემატიკაში, ჩვენ ბევრად უფრო ხელსაყრელ პოზიციაში ვართ, ვიდრე ემპირიული მეცნიერებების შემთხვევაში, რადგან იმედისმომცემი სამომავლო პროგნოზების დასაბუთების (და ამდენად პროსემანტიკური პროპაგანდის) ნაცვლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ უკვე მიღწეულ კონკრეტულ შედეგებზე.

ხშირად გამოითქმის ეჭვი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა ჰქონდეს ჭეშმარიტი (ჭეშმარიტი და არა მტკიცებადი) წინადადების ცნებას რაიმე ღირებულება მათემატიკური დისციპლინებისთვის და შეიძლება თუ არა მან შეასრულოს რაიმე როლი მათემატიკის მეთოდოლოგიის კვლევაში. მაინც მგონია, რომ მეტამათემატიკისათვის სწორედ ჭეშმარიტი წინადადების ეს ცნება წარმოადგენს სემანტიკის



ყველაზე ღირებულ წვლილს. ჩვენ უკვე გვაქვს არაერთი საინტერესო მეტამათემატიკური შედეგი, რომელიც მიღებულ იქნა ჭეშმარიტების თეორიის დახმარებით. ეს შედეგები შეეხება ჭეშმარიტების ცნებისა და მტკიცებადობის ცნების ურთიერთმიმართებებს; ადგენს ამ უკანასკნელი ცნების (რომელიც, როგორც ცნობილია, არის მეტამათემატიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნება) ახალ მახასიათებლებს; გარკვეულწილად ნათელს ჰფენს არანინააღმდეგობრიობისა და სისრულის ფუნდამენტურ პრობლემებს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები მოკლედ განვიხილეთ მე-12 პარაგრაფში.<sup>34</sup>

გარდა ამისა, სემანტიკის მეთოდის გამოყენებით შეგვიძლია ადეკვატურად განვსაზღვროთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მეტამათემატიკური ცნება, რომელიც დღემდე მხოლოდ ინტუიციურად გამოიყენებოდა – როგორც არის, მაგ., განსაზღვრადობის ცნება ან აქსიომათა სისტემის მოდელი; ამდენად, შეგვიძლია შევუდგეთ ამ ცნებების სისტემატურ შესწავლას. კერძოდ, განსაზღვრადობასთან დაკავშირებულმა კვლევამ უკვე გამოიღო საინტერესო შედეგები და მეტსაც გვპირდება მომავალში.<sup>35</sup>

ჩვენ განვიხილეთ სემანტიკის გამოყენება მხოლოდ მეტამათემატიკაში და არა საკუთრივ მათემატიკაში. მაგრამ მათემატიკისა და მეტამათემატიკის ერთმანეთისგან გამიჯვნა ამ შემთხვევაში არც ისე მნიშვნელოვანია, რადგან მეტამათემატიკა თავად არის დედუქციური დისციპლინა და ამდენად, გარკვეული აზრით, მათემატიკის ნაწილი; კარგად არის ცნობილი, რომ – დედუქციური მეთოდის ფორმალური ხასიათიდან გამომდინარე – ერთ დედუქციურ დისციპლინაში მიღებული შედეგები შეიძლება ავტომატურად გავრცელდეს ნებისმიერ სხვა დისციპლინაზე, რომელშიც კი შესაძლებელია პირველი დისციპლინის ინტერპრეტაცია. მაგალითად, მეტამათემატიკაში მიღებული ყველა შედეგი შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს როგორც რიცხვთა თეორიაში მიღებული შედეგი. ამავე დროს, პრაქტიკული თვალსაზრისით, არ არსებობს მკაფიო საზღვარი მეტამათემატიკასა და საკუთრივ მათემატიკას შორის. მაგალითად, გამოკვლევები განსაზღვრადობაზე ნებისმიერ მათგანში შეიძლება იქნეს ჩართული.

## 23. საბოლოო შენიშვნები

მინდა შევაჯამო ეს მსჯელობა რამდენიმე ზოგადი და შედარებით თავისუფალი შენიშვნით, რომელიც ეხება საერთოდ მეცნიერული მიღწევების შეფასებას მათი დანერგვისა და გამოყენების თვალსაზრისით. უნდა ვაღიარო, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული ეჭვები მაინც მაქვს.

რადგან მათემატიკოსი ვარ (ისევე, როგორც ლოგიკოსი და, ალბათ, რაღაც

## LOGIC

ხარისხით ფილოსოფოსი(ც), მქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდი მათემატიკოსთა არაერთ დისკუსიას (მათემატიკაში განსაკუთრებით მწვავედ დგას მიღებულ შედეგთა გამოყენების პრობლემა) და ერთი რამ შევამჩნიე: თუ მათემატიკოსს სურს დაამციროს რომელიმე მისი A კოლეგის ნაშრომი, ამისთვის ყველაზე ეფექტური მეთოდია იკითხოს, სად შეიძლება ამ შედეგების გამოყენება. კუთხეში მიმწევდელი A ბოლოს და ბოლოს იმონმებს სხვა, B მათემატიკოსის ნაშრომებს, რომელშიც მისი შედეგებია გამოყენებული. თუ ანალოგიური შეკითხვებით B-საც გაუნყალებენ გულს, ის C მათემატიკოსს დაიმონმებს. რამდენიმე ამგვარი სვლის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ისევ A მათემატიკოსის გამოკვლევაზე მიგვითითებენ და ჯაჭვიც შეიკვრება.

